# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი — კვირა, 30 აპრილი — 1 მაისი, 2016

№102 (7028)

ფასი: 50 თეთრი

## ინტრიგა მხოლოდ ესპანეთშია



გვ.9

## სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | სოსიედადი-რეალი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 30.04 | ატლეტიკო-რაიო | 1.3 | 5.5 | 9.5 |
| 30.04 | ბეტისი-ბარსელონა | 19.0 | 8.5 | 1.12 |
| 30.04 | ბაიერნი-გლადბახი | 1.35 | 4.8 | 7.0 |
| 30.04 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.4 | 4.8 | 7.5 |
| 30.04 | დარმშტადი-აინტრახტი | 2.3 | 3.25 | 2.87 |
| 30.04 | ნანტი-ნიცა | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 30.04 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 30.04 | მონაკო-გენგამი 1.5 | 4.0 | 7.0 | |
| 01.05 | მანჩესტერი-ლესტერი | 2.1 | 3.3 | 3.6 |
| 01.05 | საუთჰემპტონი-სიტი | 2.75 | 3.3 | 2.5 |
| 01.05 | ლაციო-ინტერი 2.37 | 3.3 | 2.75 | |
| 01.05 | ემპოლი-ბოლონია | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 02.05 | ჩელსი-ტოტენჰემი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 02.05 | ჯენოა-რომა | 5.0 | 3.75 | 1.67 |

# „ქართული ოცნების“ წევრები ნაცმოძრაობის მხარეს გადმოდიან“



გვ.3

## მეგი გოცირიძე: „ივანიშვილმა ნარმანია მძევლად აიყვანა“

ბიძინა ივანიშვილი არის ჩვეულებრივი ოკუპანტი, მას გაცილებით მეტი მიწა აქვს ოკუპირებული, ვიდრე რუსეთს. მას ნახევარი ბორჯომი და ბაკურიანი აქვს წაღებული. მის საკუთრებაშია მოქცეული აბაშის, სამტრედიის, გარდაბნის, მარნეულის ნაწილი. საგურამოს ნახევარიც წაღებულია. გურია, მგონი, მთლიანად მაგისაა.



## გია ცაგარეიშვილი: „დღეს ხელისუფლება დანაღმულ ველზე დადის“

„ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩევნები შეენარჩუნებინა. ხელისუფლება ფიქრობს, რომ სწორედ მაჟორიტარებით გადაირჩენს თავს, განსაკუთრებით რეგიონებში და ამ გზით შეაკოწიწებენ უმრავლესობას. თუმცა, მე მათ მინდა შევახსენო, რომ მაჟორიტარებით შეკოწიწებული უმრავლესობა ყოველთვის მყიფეა.

გვ.2



## გივი ლომინაძე: „ახლანდელი დევნილთა წარმომადგენლობა არასოდეს გახდება აფხაზეთში არჩეული დეპუტატის ტოლფასი“



გვ.4

„საქართველოს კონსტიტუცია გავაულდებულებს, შევცვალოთ ნორმები“

## ცხინვალი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს?

გვ.2



რეფერენდუმის თემა პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა



## საქართველოს საზღვრებთან ისლამისტების გააქტიურების ახალი ტალღაა

30 აპრილიდან დაღესტნის პოლიცია საგანგებო რეჟიმზე გადადის

— გვ. 5 —

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ცაგარეიშვილი: „დღეს ხელისუფლება დანაღმულ ველზე დადის“

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ თავისუფალმა დემოკრატებმა შიდა კვლევები ნოემბერში ჩაატარეს და მათი შედეგები თითქმის ემთხვევა გამოქვეყნებულ სოციოლოგიურ კვლევებს.**



– ჩვენ 3.200 რესპონდენტი გამოვკითხეთ, აირაიმ კი – 1500. ჩვენ ორჯერ მეტი ადამიანი გამოვკითხეთ, – გვითხრა გია ცაგარეიშვილმა.

***– როგორი იყო შედეგები?***

– თითქმის მიმსგავსებული შედეგები მივიღეთ, ცდომილება 2-3% იყო. ჩვენ ვატარებთ შიდა კვლევებს, სხვა პარტიებიც ატარებენ, მაგრამ ისინი შედეგებს არ ამხელენ. რატომ? მსგავსი შიდა კვლევა ჩაატარა „ქართულმა ოცნებამ“, რატომ არ აქვეყნებენ შედეგებს? მე ეს კითხვა რამდენჯერ დავსვი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მივიღე პასუხი.

თუ ჩვენ საერთო სურათს შევადარებთ, მივიღებთ, რომ ვერც ერთი პარტია ჯერჯერობით უმრავლესობით პარლამენტში ვერ მოდის. არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობით, არამედ 76 მანდატსაც ვერ დაეუფლება. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ არჩევნებზე არნახული კონკურენცია იქნება, რაც თავისთავად საკმაოდ საინტერესო სურათს შექმნის, თუ ხელისუფლება არ მოინდომებს, რომ საარჩევნო ყუთში ხელი აფათუროს და თავის წინამორბედს დაემსგავსოს.

თუ ასე განვითარდება მოვლენები, ეს დაძაბავს როგორც წინასაარჩევნო პერიოდს, ისე პოსტსაარჩევნო მდგომარეობას. „ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცის, რომ პროპორციულ არჩევნებში საუკეთესო შედეგს ვერ მიიღებს ან შეიძლება მხოლოდ რამდენიმე პროცენტით მეტი მიიღოს თავის კონკურენტებზე.

***– მაჟორიტარულ ოლქებში?***

– სწორედ ამიტომ, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩევნები შეენარჩუნებინა. ხელისუფლება ფიქრობს, რომ სწორედ მაჟორიტარებით გადაირჩენს თავს, განსაკუთრებით რეგიონებში და ამ გზით შეაკოწიწებენ უმრავლესობას. თუმცა, მე მათ მინდა შევახსენო, რომ მაჟორიტარებით შეკოწიწებული უმრავლესობა ყოველთვის მყიფეა. მინდა ჩვენი პოლიტიკური უახლესი ისტორიის მაგალითი შევახსენო მათ, როდესაც ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარები გადმობარგდნენ ხელისუფლებაში. ამიტომ მათ ვეუბნები, რომ ეს არის დანაღმული ველი და ამ დანაღმულ ველზე თვალდახუჭულები დადიან.

***– პრემიერ-მინისტრმა უკვე დაასახელა ის ძალები, ვისთან ვერ წარმოუდგენია თანამშრომლობა. თქვენი პარტია ასახელებს ასეთ ძალებს? მაგალითად, ვისთან ერთად არ იქნებით არანაირ კოალიციაში?***

– ჩვენც ვასახელებთ ასეთ პოლიტიკურ ძალებს. ესენი არიან პრორუსული ძალები და ნაციონალური მოძრაობა. ამას ვამბობ ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად. ამ ძალებთან პარლამენტში არანაირი თანამშრომლობა და კოალიცია უმრავლესობის შექმნის მიზნით ვერ გვექნება. ჩვენ ამ არჩევნებზე დამოუკიდებლად ვაპირებთ გასვლას და შედეგების მოპოვებას.

***– როდესაც ამბობთ, რომ გამორიცხავთ თანამშრომლობას ნაციონალებთან და პრორუსულ ძალებთან, გამოდის, არ გამორიცხავთ, რომ ისევ აღმოჩნდეთ ერთ კოალიციაში „ქართულ ოცნებასთან“?***

– ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები არჩევნებზე. დღეს დაზუსტებით შემიძლია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ, რომ არჩევნებზე მარტო გავდივართ, არც ნაციონალებთან ერთად და არც არავისთან ერთად, როგორც გვაჯგუფებდნენ.

***– ბოლოს რესპუბლიკელებთან დაგაჯგუფეს.***

– დიახ, მაგრამ არც რესპუბლიკელებთან და არც არავისთან ერთად არ მივდივართ არჩევნებზე. ჩვენ გვაქვს მზარდი რეიტინგი, განსხვავებით „ქართული ოცნებისგან“ და ნაციონალური მოძრაობისგან. ეს გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველს, თუმცა, წინ არჩევნებია და ამომრჩევლის ნებაა, თუ რა არჩევანს გააკეთებს ის.

# მაგდა პაპიძის საქმეზე 8 ნაფიცი მსაჯული უკვე შერჩეულია



ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძის საქმეზე 8 ნაფიცი მსაჯული უკვე შერჩეულია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულის ადვოკატმა მარიკა ფხალაძემ განუცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, პირველ სხდომაზე ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა 4 ნაფიცი მსაჯული შეარჩიეს, მეორე სხდომაზე კი, რომელიც 27 აპრილს გაიმართა, 4 ნაფიცი მსაჯული შეირჩა. ადვოკატი ვარაუდობს, რომ უახლოეს 2 სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების შერჩევა შესაძლოა დასრულდეს და საქმის არსებითი განხილვა დაიწყოს.

– პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. ვფიქრობთ, შერჩეული კანდიდატები ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ, – განაცხადა მარიკა ფხალაძემ.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესში თავად ბრალდებული მაგდა პაპიძეც მონაწილეობს.

მაგდა პაპიძის ბრალდების საქმეზე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების შერჩევა 18 აპრილიდან დაიწყო. ბრალდებისა და დაცვის მხარეები ნაფიც მსაჯულებს ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შედგენილი 100 კაციანი სიიდან ირჩევენ.

კანონმდებლობის თანახმად, ნაფიცი მსაჯული შეიძლება გახდეს პირი, თუ ის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში; თუ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი; შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

პირი ნაფიც მსაჯულად ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას, თუ არსებობს ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი – კერძოდ: თუ იგი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, გამომძიებელი ან პოლიციელია; ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; არის სასულიერო პირი; იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა; არის ბრალდებული; ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი ჰქონდა დადებული; მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე; არის ფსიქოლოგი, ფსიქიატრი ან იურისტი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არა უმეტეს 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან შედგება.

**ინტერპრესნიუსი**

# ავტობუსისა და დასუფთავების სამსახურის ავტომანქანის შეჯახების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა



დასუფთავების სამსახურის კუთვნილი ავტომანქანისა და მუნიციპალური ავტობუსის შეჯახების შედეგად ორი ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ავტოსაგზაო შემთხვევა დიღომში მოხდა, ხოლო დაშავებულებს დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

მიმდინარეობს გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს?

## რეფერენდუმის თემა პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა

შორენა მარსაგიშვილი



საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ცხინვალში პოლიტიკურად ძალიან დაცხა. მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი არ მალავს რომ ამ არჩევნებში თავადაც მიიღებს მონაწილეობას.

ცხინვალში ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე არჩევნების მოგება წარმოუდგენელია. ამიტომაც პრეზიდენტობის მსურველები ყველანაირად ცდილობენ, მოსკოვში მხარდაჭერა მოიპოვონ.

ამ საქმით ყველაზე ადრე მოქმედი პრეზიდენტი თიბილოვი დაკავდა. მან იფიქრა, რომ მოსკოვის მხარდაჭერას მასთან „შეძრომით“ მოიპოვებდა. მისი მტკიცებით, მთელი ცხინვალი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე ოცნებობს და ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტა.

მიზნის მისაღწევად ტყუილების თქმაც არ შერცხვა. შარშან ცხინვალს პუტინის წარმომადგენელი სურკოვი სტუმრობდა. სტუმარი ხეირიანად გაცილებული არ ჰყავდა, რომ გამოვარდა და განაცხადა, რუსებთან რეფერენდუმის თემაზე მოვითათბირეთო. ეს ინფორმაცია ოფიციალურმა მოსკოვმა მაშინვე უარყო.

რეფერენდუმის წინააღმდეგ წავიდნენ ცხინვალელი პოლიტიკოსებიც. მათ შორის იყო პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვიც. არადა საპარლამენტო არჩევნების წინ პირველად ის გამოვიდა ამ ინიციატივით. რუსეთის ხელისუფლებამ მას ამ თემის უკან წაღება მოსთხოვა. მანაც წაიღო.

ამ მხრივ თიბილოვი კერკეტი კაკალი გამოდგა და მიზნის მისაღწევად პუტინის სახელითაც დაიწყო ტყუილები.

რამდენიმე კვირის წინ მას ჰქონდა პატივი, შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტს. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ბრიფინგი გამართა და სურათი ისე დახატა, თითქოს პუტინი მზად იყო, მიეერთებინა ცხინვალი.

თიბილოვმა რეფერენდუმის ჩატარების თარიღიც გამოაცხადა. მისი თქმით, რეფერენდუმი აგვისტოს თვეში ჩატარდება.

თარიღის გამოცხადებიდან ძალიან მალე თანამდებობა დატოვა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ყაზბულატ ცხოვრებოვმა. მას დღემდე არ დაუკონკრეტებია წასვლის მიზეზი. ადგილობრივი მედიის ცნობით, ცხოვრებოვმა პოსტი რეფერენდუმის გამო დატოვა. ნამინისტრალი მიიჩნევს, რომ ცხინვალი არავის შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს.

რეფერენდუმის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსი პოლიტიკოსები და ექსპერტები. ცხინვალში გადაწყვიტეს, ამ თემაზე მრგვალი მაგიდა გაემართათ, რომელიც პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საპარლამენტო პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების ნაწილს მიაჩნია, რომ თემა სპეკულაციურ ხასიათს იღებს, ნაწილისთვის რეფერენდუმის საკითხის ფორმულირებაა გაუგებარი, მესამე ნაწილს მიაჩნია, რომ რეფერენდუმის ჩატარება საჭირო არ არის, რადგან იგივე საკითხით რეფერენდუმი 1992 წელს გაიმართა.

საზოგადოებრივი მოძრაობის „ოსეთი შენი არჩევანია“ ლიდერმა ალან ჯუსოევმა აღნიშნა, რომ რეფერენდუმის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციას საზოგადოებაში საკითხის განხილვის ინიცირება უნდა მოეხდინა.

პარტია „ახალი ოსეთის“ ლიდერ დავით სანაკოევის თქმით, კი რეფერენდუმის გამართვა ერთი წლით უნდა გადაიდოს. მისი თქმით, წინასაარჩევნო წელიწადს რეფერენდუმის თემა ზედმეტად პოლიტიზირებულ ხასიათს იღებს.

პარლამენტის სპიკერი ანატოლი ბიბილოვი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის რედაქციით რეფერენდუმში გასატანი საკითხი ორაზროვან ხასიათს ატარებს და ის საზოგადოებას გახლეჩს.

– რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ამ საკითხის უზურპირება მოახდინა, როდესაც რეფერენდუმის საკითხის ფორმულირებისა და მისი ჩატარების ვადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო, – აღნიშნა ბიბილოვმა.

ჟურნალისტ ირინა გაგლოევას განცხადებით კი, საზოგადოება რეფერენდუმის ჩატარებისთვის მზად არ არის, რადგან მთავრობასა და ხალხს შორის ერთობა არ არსებობს.

– საზოგადოება პოლიტიკური პროცესებისგან მოწყვეტილია. ჩვენც კი, ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ვართ ჩართული, ვერ ვიგებთ, რომელი კომისია არის ამ საკითხით დაკავებული. ხელისუფლებაში მოდური გახდა საზოგადოებრივი აზრის იგნორირება. როდესაც საზოგადოებაში უთანხმოებაა, რომელ რეფერენდუმზე მიდის საუბარი? – განაცხადა გაგლოევამ.

***

ამ თემაზე ოსურმა მედიამ საზოგადოებაშიც ჩაატარა გამოკითხვა.

აღმოჩნდა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი რეფერენდუმის ჩატარების წინააღმდეგ გამოდის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნების“ წევრები ნაცმოძრაობის მხარეს გადმოდიან“

შორენა მარსაგიშვილი

**რას ჰპირდებიან ნაციონალები დავით ნარმანიას, რატომ დაარქვეს მალე საქართველოს +18, რა პროცესები დაიწყო „ქართულ ოცნებაში"? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი, ნაციონალი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

**მეგი გოცირიძე:**

— ქვეყანაში ისეთი ამბები ტრიალებს, აღშფოთების და გაკვირვების უნარიც კი წართმეული მაქვს. რაღაცა საშინელებას ჩაიდენენ ქოცები, მგონია, რომ ამის შემდეგ ველარაფერი გამაკვირვებს, მაგრამ ცოტა ხანში უარესს აკეთებენ. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ოლიგარქის კლანჭებიდან ბოტანიკური ბაღის გამოხსნა მოგვიწევდა. ახლა ის ბოტანიკურის მომიჯნავედ არსებული 20 ჰექტარის მითვისებას აპირებს. ამაში მას ხელს უწყობს დავით ნარმანია.

ბიძინა ივანიშვილი არის ჩვეულებრივი ოკუპანტი, მას გაცილებით მეტი მიწა აქვს ოკუპირებული, ვიდრე რუსეთს. მას ნახევარი ბორჯომი და ბაკურიანი აქვს წალებული. მის საკუთრებაშია მოქცეული აბაშის, სამტრედიის, გარდაბნის, მარნეულის ნაწილი. საგურამოს ნახევარიც წალებულია. გურია, მგონი, მთლიანად მაგისია.

***— რას ნიშნავს, გურია მაგისია?***

— იმას, რომ ეგ დაეპატრონა გურიის მიწებს. ამას ჰაერზე არ ვლაპარაკობ, ხელში მისი ქონებრივი დეკლარაცია მიჭირავს, სადაც ეს ყველაფერი შავით თეთრზე წერია. გაიგეთ, ხალხო, ეს კაცი არის ოკუპანტი.

***— ყველასთვის ცნობილია, რომ მან საქართველოში მიწების შეძენა იმ დროს დაიწყო, როცა თქვენ მართავდით ქვეყანას. თუ ივანიშვილი ჩვეულებრივი ოკუპანტია, რატომ არ შეუშალეთ ხელი?***

— სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით თავის დროზე. ვაღიარებ, რომ მან მიწების ნაწილი ჩვენ დროს შეიძინა, მაგრამ ახლა მიტაცებაზე გადავიდა. ჩვენს დროს რისი გაყიდვაც არ შეიძლებოდა, არ იყიდებოდა. რასაც ეს ადამიანი ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით აკეთებს, სახელიც კი არ ჰქვია. პირობას გაძლევთ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს დაუბრუნდება, მაგრამ ამაზე ბრძოლა მოგვიწევს. ბოტანიკური ბაღი ოლიგარქის საკარმიდამო ნაკვეთი არასდროს გახდება.

***— თქვენ ამტკიცებთ, ბოტანიკური ბაღის ნაწილი მიიტაცაო. ბოტანიკური ბაღი ამტკიცებს, რომ ტერიტორიების გაცვლა მოხდა და მათ ივანიშვილმა უკეთესი ტერიტორია დაუთმო.***

— და თქვენც გჯერათ ამ ზღაპრების? თურმე ოლიგარქმა ბოტანიკურს კარგი ტერიტორია დაუთმო ხრიოკის სანაცვლოდ. სად არის ბოტანიკურში ხრიოკი ადგილი? ეგრეც რომ იყოს, ამ ტერიტორიებს რომ ცვლით, ხალხს არ უნდა ჰკითხოთ? ამათ ეტყობა, თბილისი ნორას და ციცოს ბაღი ჰგონიათ.

მინდა ყველამ კარგად გაიგოს, რომ საქართველო არის ჩვენი და ივანიშვილს არ მივატაცებინებთ. არც იმას დავუშვებთ, რომ მდგმურმა ნარმანიამ აქ რაღაცები თბილისელების ზურგს უკან აკეთოს. მესმის, რომ ისიც შავ დღეშია, ივანიშვილს მძევლად ჰყავს აყვანილი.

***— მძევლად რანაირად ჰყავს აყვანილი?***

— პროკურატურის და ფინანსური პოლიციის მეშვეობით ჰყავს ნარმანია მძევლად აყვანილი.

***— უფრო დეტალურად შეგიძლიათ გვითხრათ, რას გულისხმობთ?***

— მერად დანიშვნიდან რამდენიმე თვეში ნარმანიას უწყებამ თბილისობისთვის თანხები გაფლანგა. ეს ივანიშვილმა გაიგო და მერიაში ფინანსური შეაგზავნა პროკურატურასთან ერთად.

***— თბილისობისთვის თქვენი ხელისუფლებაც დიდ თანხებს ხარჯავდა.***

## მეგი გოცირიძე: „ივანიშვილმა ნარმანია მძევლად აიყვანა“



— ზეიმის მოწყობას თანხა სჭირდება, ჩვენს დროს ფული მიზნობრივად იხარჯებოდა. ახლა კი რა მოხდა, გამგებლის ცოლების ფირმებს ჩაურიცხეს ფულები. ამ საქმის გამოძიება არ დასრულებულა. მერი ივანიშვილის ახირებებს თუ არ შეასრულებს, პასუხს მოსთხოვენ. მას არც კოკში უნდა წასვლა და არც — ციხეში. ამიტომაც დადის ოლიგარქის ჭკუაზე. ნარმანიამ არც კი იცის, რა ელოდება იმის გამო, რასაც მას ბიძინა ივანიშვილი აკეთებინებს.

არ მინდა ისე ვინმემ იფიქროს, რომ თავად ნარმანიაა უმწიკვლო და ამას ყოფილი პრემიერი აკეთებინებს. თავადაც კარგად იხრჩობა კორუფციაში. არც ეს არის ჩემი მოგონილი ამბავი, ჯოკია ბოდოკიას ისტორია ყველაფერს ნათელს ჰფენს. რატომ არავინ გვაძლევს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მერიის და გამგეობების თანამშრომლებს ქრთამის აღების ფაქტებზე ლამის კვირაში ერთხელ აკავებენ.

***— ბოლო დაკავება სამგორის გამგეობაში მოხდა. ამის შემდეგ მერიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა.***

— რა განცხადება, ხალხო? თანამშრომლებს რომ სთხოვა, ქრთამი არ აიღოთო? ეს ხომ სასაცილოა. ეს განცხადებაც ადასტურებს იმას, რომ მერია კორუფციის ბუდედ გადაიქცა.

3 მაისს ტარდება აუქციონი, სადაც ბოტანიკური ბაღის მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის გასხვისება იგეგმება, რომელზეც კრწანისი-შინდისი გზა უნდა გაშენებულიყო. უკვე წინასწარ არის ცნობილი, ვინ ყიდულობს ამ მიწას. მოვუწოდებთ მერიას, არ გაბედოს ამ აუქციონის გამართვა. ამ მიწის გასხვისებას არ დავუშვებთ. აუქციონის ჩასაშლელად ყველაფერს გავაკეთებთ.

***— კონკრეტულად რას აპირებთ? რამდენიმე დღის წინ გამართულ აქციაზე მერიაში არ შეუშვით ვიცე-მერი ლექვინაძე. მერიის პიკეტირებას გააგრძელებთ თუ რას იზამთ?***

— იმ დღეს არც ნარმანიას არ შევუშვებდით, მაგრამ ის წინა ღამეს შესულა შენობაში და იქ გაუთენებია ღამე. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეგვეპარა, მაგრამ ყოველთვის ვერ შეიპარება. ყველა ღონეს გამოვიყენებთ იმისთვის, რომ 3 მაისს აუქციონი არ გაიმართოს. ეს არის პოლიტიკური ბრძოლა და ჩვენ კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ. აღარაფერს დავთმობთ, ისედაც ბევრი რამე დავუთმეთ ოკუპანტებს. ისე, რომ იცოდეთ, დამთავრებულია ბიძინა ივანიშვილი.

***— დამთავრებული რანაირად არის, თავად არ ამბობთ, ყველაფერში მაგის ხელი ურევიაო?***

— ხელი კი ურევია, მაგრამ ამბავი დამთავრებულია. ცოტა ხნის წინ ქობულეთში „ქართული ოცნების“ დეპუტატი მოსახლეობასთან შესახვედრად მივიდა და იქიდან სულ კინწისკვრით გამოაგდეს.

***— ამის საფუძველზე ამბობთ, რომ ივანიშვილი დამთავრებულია?***

— ეს სერიოზული სიგნალია, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტებიც. „ქართული ოცნების“ წევრები უკვე ღიად მიდიან ოლიგარქის წინააღმდეგ.

***— ეს რაში გამოიხატება?***

— რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ ჩემს სახლთან ახლოს, ავლაბარში, ერთადერთი სკვერის გაჩეხვას აპირებდნენ, სადაც სასტუმრო უნდა აშენებულიყო. მერიას უკვე გაცემული ჰქონდა ნებართვა და იცით, რა მოხდა? „ქართული ოცნების“ აქტივისტები მართავდნენ ყოველდღე მიტინგებს. ისინი ჩემთან ერთად აპროტესტებდნენ ამ ამბავს. საკრებულოდან რამდენიმე დეპუტატი მოვიდა და ყველა გაყარეს.

***— ეს ნაციონალი ქალი „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად მართავდით აქციებს?***

— რა პრობლემაა მერე, თუ ჩემს უბნელ ქოცებთან ერთად დავდექი სამართლიანობის დასაცავად? თან იცით, როგორები არიან, ნამდვილი და ორთოდოქსი ქოცები. ისინი ჩემთან ერთად იდგნენ და ჩემთან ერთად ემუქრებოდნენ ნარმანიას, თუ იმ სკვერის გაჩეხვა დაიწყებოდა. ყველაფერი კარგად დასრულდა, სასტუმროს მშენებლობა აღარ გამოვიდა და ეს სკვერი არ გაიჩეხება.

არის წითელი ხაზები, სადაც ქოციც და ნაციც ერთად დადგება. ან რას ნიშნავს ქოცი და ნაცი. ჩვენ ყველანი ქართველები ვართ — ერთმანეთის სისხლი და ხორცი. უბრალოდ, ჩვენ ერთმანეთისგან მენტალიტეტით განვსხვავდებით. ჩვენ თავის დროზე დიდი შეცდომა დავუშვით, როცა საყდრისის აფეთქება ასე გავატარეთ.

ამ ფაქტის გამო გერმანიაში დღემდე ვერ გამოდიან შოკიდან. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? დამნაშავეებს ვახალისებით. იმ მოსამართლეს კი, რომელიც ამ საქმეს იძიებს, მანქანას უცხრი-



საყდრისი და ამ თემაზე მძლავრი აქციები არ დავიწყეთ. სამაგიეროდ, საყდრისის ამფეთქებლები აწყობენ ახლა აქციებს.

***— რა აქციების მოწყობაზე საუბრობთ?***

— ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე აქციების უკან დგას უმრავლესობის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი. საყდრისის დანგრევა მამამისის კისერზეა. მან დადო დასკვნა, რომ ეს ძეგლი მნიშვნელოვანი არ იყო. მანვე მოატყუა პატრიარქი. უთხრა, რომ საყდრისთან დაკავშირებით ტყუილი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. ეს დამსახურება დაუფასდა ზაქარიას მამას და ახლა ის ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორობისთვის ემზადება.

ეს ყველაფერი საშინელი ასატანია, მაგრამ არჩევნებამდე უნდა გავძლოთ. იქ ყველაფერი შეიცვლება. ივანიშვილს „ქართული ოცნება“ ხელიდან გაექცა. ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ისევე აზროვნებს, როგორც ნაცმოძრაობა.

ბევრი მათგანი ჩვენთან მოსასვლელ გზებსაც კი ეძებს. ზოგიერთი მოვიდა კიდევაც. ისინი მზად არიან ჩვენთან ითანამშრომლონ. ეს სერიოზული სიგნალებია და ამის შედეგს ყველანი ნახავთ არჩევნებზე.

***— ჩვენთან მოდიანო, ამბობთ და იგივე ხდება, რაც 2003 წელს იყო. მაშინაც ასე მოიპარებოდნენ შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლები.***

— დაახლოებით იგივე ვითარებაა. 2003 წელს ჩვენთან გადმოსვლა არჩევნების შემდეგ დაიწყეს. ახლა ეს პროცესები ძალიან ადრე დაიწყო. ეს ხალხი მოდის ჩვენთან და გვაწვდის ინფორმაციებს. ეს პატარა ამბავი არ არის და ამიტომ გითხარით ზემოთ, რომ ივანიშვილი დამთავრებულია. მინდა, ეს კარგად გაიგოს მდგმურმა ნარმანიამაც და შეეშვას თბილისს.

***— ბოლო პერიოდში ნარმანიას ხშირად მოიხსენიებთ მდგმურად და რა ხდება? თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ამით მერის არათბილისურ წარმომავლობაზე აპელირებთ და ამით თავად ამჟღავნებთ პროვინციალიზმს.***

— ნარმანიას კოკელობა აქ არაფერ შუაშია. მარგველაშვილი ხომ არის თბილისელი, მაგრამ რა ხეირი ამით ქვეყანას? ყველას წინაპარი საიდანღაც არის ჩამოსული, მათ შორის იმ საწყალი ხოხბისაც, აქ რომ ჩაიხრჩო.

***— აბა, რატომ ეძახით მდგმურს?***

— მდგმურია და რა ვქნა. ის ბიძინამ შეასახლა მერად და ამიტომ მოვიხსენიებთ. ისიც მიკვირს, რატომ გვესხმიან ხოლმე თავზე, როცა ნარმანიას არათბილისელობას ვუსვამთ ხაზს. წნორში ან ყაზბეგში თბილისელი რომ დასვან მერად, ხომ გადაირევიან.

***— სად ჰყავს ან ერთს ან მეორეს მერი, თორემ გადაირეოდნენ.***

— კარგი, იყოს გამგებელი. ხომ ეწყინებათ და იტყვიან, ჩვენთან დაილია კარგი ადამიანი, სხვა ქალაქიდან რომ არ ჩამოეყვანათო. ეს საქმისთვისაა აუცილებელი, თორემ კიდევ ერთხელ ვამბობ, ყველა მოქმედი თბილისელის წინაპარი საიდანღაც არის ჩამოსული. ნარმანიამ კი ქუჩების დასახელება არ იცის.

***— ეს უკვე ნამეტანია, ქუჩების სახელები როგორ არ ეცოდინება?***

— არ გჯერათ? წადით და გადაამოწმეთ. არც ის შეიძლება, დედაქალაქის მერი იქნებოდეს იქნებოდეთი ლაპარაკობდეს. როცა თანამდებობაზე ხარ, გამართულად უნდა მეტყველებდე. ამისთვის არსებობენ ლოგოპედები. ამ მხრივ ქოცებს გაუმართლა და მათ რიგებშიც გამოერია ერთი ლოგოპედი, მანანა ბერიკაშვილი. მისი მოსწავლე იყო ღარიბაშვილი და მეტყველება გამოისწორა. კეთილი ინებოს ნარმანიამ და ნორმალური ლაპარაკი ისწავლოს.

ჩემი თავისაც მიკვირს, ნარმანიასგან ისე ვითხოვ ნორმალურ ლაპარაკს, თითქოს სხვა ქოცები დალაგებულად მეტყველებდნენ. მაგათი შიშით ტელევიზორი ვერ ჩამირთია, დაეწყობიან და ყველანი სექსზე ლაპარაკობენ. მერე უნამუსოდ ჩვენ წამოგვაძახებენ ბუჩქების თემას.

***— უნამუსოდ რატომ, ბუჩქებში გაიარეთო, თქვენმა ლიდერმა არ უთხრა პატრიოტთა ბანაკის წევრებს?***

— იმან უთხრა, გაიარეთო, ამათ კი ეგეც უკუღმა გაიგეს. საქართველოს ტერიტორიების ნაწილი დაკარგული აქვს. მისი პრეზიდენტი გამუდმებით ამაზე უნდა საუბრობდეს. ამის მაგივრად გამოვარდა მარგველაშვილი და მდიდარი სექსუალური ცხოვრება მაქვსო, გვახარა. სექსის ნაკლებობას არც პუტინი და ობამა უჩივიან, მაგრამ რომელი ლაპარაკობს ამაზე? აქ კიდევ ყველა ქოცი სექსზე გადაირია. ცოტა ხანში საქართველოს +18 დააწერენ. ქოცებმა საქართველო ჯაჭვლიანის იბიარდად აქციეს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალური მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგები.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გივი ლომინაძე: „ახლანდელი დევნილთა წარმომადგენლობა არასოდეს გახდება აფხაზეთში არჩეული დეპუტატის ტოლფასი“

## „საქართველოს კონსტიტუცია გვავალდებულებს, შევცვალოთ ნორმები“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი ლომინაძე, რომელიც აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტის ერთ-ერთი ავტორია, აცხადებს, რომ ცვლილებებს საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციიდან გამომდინარე ახორციელებენ.**



დეპუტატი არასამთავრობო ორგანიზაცია „რეფორმებისა და მონიტორინგის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის“ წარმომადგენლის ხათუნა გადელიას მიერ „ახალ თაობასთან“ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა.

***— თქვენმა ოპონენტებმა განაცხადეს, რომ აფხაზეთის კონსტიტუციაში საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ცვლილებები შეგაქვთ.***

— ჩვენი ოპონენტი შეიძლება კარგი ფინანსისტია, მაგრამ, ეტყობა, იურისპრუდენცია ნაკლებად ესმის, კონსტიტუციას ვერ იგებს. საიტზე გამოქვეყნებულ კანონპროექტსა და მასზე დართულ განმარტებით ბარათში ყველა კითხვაზე ამომწურავადაა გაცემული პასუხი.

***— კონკრეტულად რა ცვლილებები შეგაქვთ აფხაზეთის კონსტიტუციაში და რით არის განპირობებული ცვლილებების შეტანა?***

— ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე გვევალება.

***— რა იყო და როგორ ცვლით?***

— აფხაზეთის კონსტიტუციაში 70 ცვლილება შეგვაქვს. ცვლილებები განპირობებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის „611-ს“ დადგენილებით და საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციის მოთხოვნებით.

***— შინაარსობრივად რა იცვლება?***

— წარმოდგენილი ცვლილებებით, უფრო მაღალ დონეზე ქმედითი ხდება უმაღლესი საბჭოს კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. გარკვეული უფლებამოსილებები საქართველოს პრეზიდენტზე იყო გადანაწილებული. ახლა ამ უფლებამოსილებას ვიბრუნებთ. ვიბრუნებთ 1995 წლამდე არსებულ ნორმას.

დღეს მოქმედი კონსტიტუციით, ჩანაწერი ამგვარია: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. ახლანდელი ცვლილებებით, ჩანაწერი „პრეზიდენტთან შეთანხმებით“ ამოღებულია და წერია, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შერჩეული კანდიდატურის დანიშვნა-გათავისუფლება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაში გადადის.

***— რატომ არ გადავიდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების ვალდებულება საქართველოს მთავრობის ხელში, რა უშლიდა ხელს?***

— აღნიშნული ნორმა ამოღებულ იქნა 2013 წლის საქართველოს კონსტიტუციიდან. ეს ჩვენ არ გაგვიკეთებია. როდესაც საქართველოს პარლამენტმა ჩამოწერა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები, ჩანაწერი — თანხმობის მიცემა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დანიშვნა-გათავისუფლებაზე — კონსტიტუციიდან ამოიღო. ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავავალოთ ზემდგომ ორგანოს, აკეთოს ის, რაც არ წერია კონსტიტუციაში.

ამ ცვლილებებით უფრო მეტი კონტროლი გამოდის მთავრობაზე უმაღლესი საბჭოს მხრიდან. უმაღლეს საბჭოს ეძლევა უფლება, გამოუცხადოს უნდობლობა მთავრობას მთლიანობაში და ცალკეულ მინისტრებს, დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რაც არ იყო ყოფილ კონსტიტუციაში. ეს არის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნორმა.

აუცილებლობა შეიქმნა, უშუალოდ კონსტიტუციაში შეტანილიყო ცვლილებები და მოყვანილიყო საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, მისი მუშაობის რეჟიმთან დაკავშირებით.

დღეს საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის შერეული წყობა აქვს — ნაწილობრივ — საპრეზიდენტო, ნაწილობრივ — საპარლამენტო მმართველობა. ამიტომ აუცილებელი გახდა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო გადასულიყო შესაბამის რეჟიმში და უმაღლესი საბჭოს მუშაობა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად აწყობილიყო.

***— ცენტრალურ ხელისუფლებას რა უფლებამოსილებები დარჩა აფხაზეთის კონსტიტუციით?***

— ცენტრალურ ხელისუფლებას არავითარი უფლება არ აქვს აფხაზეთთან მიმართებით. ეს უფლებები, საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, განისაზღვრება აფხაზებთან ერთად მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა იქნება. მანამდე, სანამ ეს შესაძლებლობა არ იქნება, 1995 წლის კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ ამ უმაღლესმა საბჭომ იმოქმედოს და იმუშაოს 1978 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, მაგრამ ის მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან.

***— თუ ცენტრალურ ხელისუფლებას არავითარი უფლებამოსილება არ აქვს აფხაზეთზე, მაშინ აფხაზეთი საერთოდ გასული ხომ არ არის საქართველოს საკონსტიტუციო სივრციდან?***

— როგორ არის გასული?

***— ამბობთ, საქართველოს ხელისუფლებას არაფერი უფლებამოსილება არ აქვსო.***

— როგორ არ აქვს? ჩვენ კონსტიტუციის ახალ ვარიანტში რა ცვლილებებიც გვაქვს, მხოლოდ ნაწილია მთლიანი კონსტიტუციისა. ჩვენ ხომ არ ვსაუბრობთ იმაზე, კონსტიტუციის პირველ, მეორე, მესამე მუხლში რაც წერია. იქ წერია, რომ აფხაზეთი არის განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, რომ აფხაზეთში მოქმედებს საქართველოს კანონები.

თუ კანონების კოლიზიაა ავტონომიური რესპუბლიკის კანონებსა და ცენტრალურს შორის, მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების უფლება და მისი კანონები. ჩვენ ახლა კონტექსტიდან ამოგლეჯილად ვსაუბრობთ იმ ნაწილზე, რომელსაც ცვლილებები შეეხო. ცვლილებები უფრო ადრე უნდა შეტანილიყო, 2013 წლის შემდეგ 3 წელი გავიდა.

***— 3 წელია, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პოსტია შემოღებული და ყოლბაია მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია. თქვენი ოპონენტები ამის გამოც არიან უკმაყოფილო. ეს საკითხი კონსტიტუციაში როგორ არის გადაწყვეტილი?***

— იმ ოპონენტებს ჰკითხეთ, დაასახელონ კანონის ნორმა, რომლის საფუძველზეც არ გვაქვს უფლება, 3 წელი გვყავდეს მთავრობის მოვალეობის შემსრულებელი. თუ ასეთ ნორმას დაგისახელებენ, მე საქვეყნოდ მოვიხსნი დეპუტატის უფლებამოსილებას. ამას გააკეთებს მთელი უმაღლესი საბჭო. ასეთი ნორმა არ არსებობს.

***— შეიძლება კანონში კონკრეტული ნორმა არ არის, მაგრამ ალოგიკურად, შეუსაბამოდ მიაჩნიათ 3 წელი მოვალეობის შემსრულებლად ყოფნა. რატომ უნდა იყოს ადამიანი 3 წელი მოვალეობის შემსრულებელი? მით უფრო, რომ ის უფლებები, რაც აქვს თავმჯდომარეს, ჰქონდეს მოვალეობის შემსრულებელს. ამდენ ხანს თავმჯდომარე რატომ არ უნდა ინიშნებოდეს?***

— გასაგებია. ამას უნდა კონკრეტული ნორმა. ამის გარეშე მორალსა და მსგავს თემებზე საუბარს თავი დაანებონ. ის კონსტიტუცია და მისი ნორმები შეუსაბამო რომ იყო, ამიტომ შეგვაქვს ცვლილებები. საქართველოს კონსტიტუცია გვავალდებულებს, შევცვალოთ ნორმები. ამის გარეშე მთავრობის პირველი პირის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტის არავითარი სამართლებრივი საფუძველი და მექანიზმი ჩვენ არ გაგვაჩნია.

***— თუ ასეთი აუცილებლობა იყო, აქამდე ცვლილებები რატომ არ განახორციელეთ?***

— ცვლილებების პროექტზე ვმუშაობდით. რამდენჯერმე საკითხი წამოვწიეთ, მაგრამ ჩვენი კოლეგების ნაწილისგან ისეთი შემოთავაზებები მოდის, რომელთაც კანონთან არავითარი საერთო არ აქვს. ხელოვნურად ხდება კონსტიტუციაში ცვლილებების მიღების დაბლოკვა.

***— ცვლილებების მიღებას ვინ ბლოკავს?***

— კონკრეტულად გვარებს ვერ დაგისახელებთ, უმაღლესი საბჭოს წევრების ნაწილი ისეთ ნორმების ჩაწერას ითხოვს, რომელიც არცერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის. მოითხოვენ, კანონები მიღებულ იქნას 2/3-ით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არჩეულ იქნეს მთლიანი შემადგენლობის 2/3-ით, მაშინ როდესაც საქართველოს პარლამენტი თავმჯდომარეს უბრალო უმრავლესობით ირჩევს.

დადგენილებებს იღებენ დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 1/3-ისა. აჭარაშიც უბრალო უმრავლესობით ირჩევენ. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაშიც ასეა. აქ 2/3-ით თავმჯდომარის არჩევა შეუძლებელია. საკმარისია, ორმა დეპუტატმა პირი შეკრას, ნებისმიერ დროს შეძლებს საკითხის დაბლოკვას. მიდის პროექტზე შეჯერების პროცესი.

***— თქვენი ოპონენტები მუდამ საუბრობენ იმაზე, რომ არჩევნების უფლება წართმეული აქვთ.***

— ვინც ამას ლაპარაკობს, ეტყობა, საერთოდ, აზროვნება დაკარგული აქვს. ხედავენ მხოლოდ სკამს ან თანამდებობას, ან პირად ინტერესებს. რომელი არჩევნების უფლებაზეა საუბარი, როცა სიცოცხლის უფლება და მიწა-წყალი გვაქვს წართმეული. ამიტომ არის გაუკუღმართებული და გაუბედურებული ჩვენი ყოფა. ამ კონსტიტუციაზე ჩაბღაუჭება და 1978 წლის კონსტიტუციაზე დაყრდნობა არის ერთი ძალიან სუსტი ძაფი, რომლითაც საქართველო დე იურედ დაკავშირებულია აფხაზეთთან. როგორც კი ეს ორგანო შეწყვეტს არსებობას, დარჩება სოხუმში არსებული სეპარატისტული წარმონაქმნი და ვნახავთ, როგორ განახორციელებენ მათ უფლებებს. ამიტომ არჩევნებზე ლაპარაკი მარაზმია.

***— ხომ შეიძლება დეპუტატების რაოდენობა თანდათან შემცირდეს მიზეზთა გამო და გარკვეული პერიოდის შემდეგ დადგეს მომენტი, როცა უმაღლეს საბჭოში დეპუტატები ფიზიკურად აღარ იყვნენ. მაშინ რა რეალობის წინაშე აღმოჩნდება უმაღლესი საბჭო? ხომ არ ჯობს, უმაღლეს საბჭოს არ შევეხოთ, მაგრამ მასთან არჩეული რაღაც ორგანოც გავაჩინოთ?***

— თუ უმაღლეს საბჭოს არ შევეხებით და ავირჩევთ რაღაც წარმომადგენლობით ორგანოს, შეიძლება. მე ამისთვის მზად ვარ. ის იქნება მხოლოდ დევნილთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც იფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელისუფლების პატრონაჟით, თუმცა იმ ორგანოს კონსტიტუციურ ჩარჩოებში ვერ მოაქცევ.

***— თუკი შესაძლებელია უმაღლეს საბჭოში კოოპტაციის წესით დეპუტატების შეყვანა ან ისეთი პირების დეპუტატებად ცნობა, რომლებსაც უფლებამოსილება ჯერ კიდევ აფხაზეთში ყოფნის დროს ჰქონდათ შეჩერებული, ან კიდევ საერთოდ არ არჩეულან აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, რატომ არ შეიძლება, დევნილთა არჩეული წარმომადგენლობა იყოს უმაღლესი საბჭოს რაღაც სტრუქტურაში?***

— ახლანდელი დევნილები და დევნილთა წარმომადგენლობა არასოდეს გახდება აფხაზეთში არჩეული დეპუტატის ტოლფასი. კოოპტირებული დეპუტატები კი არჩეული არიან აფხაზების, ქართველების, სომხებისა და რუსების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტში.

ეს არის ამომავალი წერტილი და განმსაზღვრელი, თუმცა ეს არ არის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა. ჩვენ ჩვენთვის ვადა არ გაგვიგრძელებია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება. მათ ამ საკითხებზე საქართველოს პარლამენტს უნდა მიმართონ, მაგრამ არცერთი ჭკუათმყოფელი ამ ნაბიჯზე არ წავა, რადგან მსგავსი გადაწყვეტილება თვითმკვლელობის ტოლფასია.

# „სააკაშვილი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს“

აზერბაიჯანული გამოცემა „Каспій“ მიხეილ სააკაშვილის იმ ცნობილ განცხადებას ეხმაურება, როდესაც ოდესის ოლქის გუბერნატორმა განაცხადა, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნებიდან მეორე დღესვე დაბრუნდება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ მასალის შემოკლებულ ვერსიას გთავაზობთ:

ოდესის ოლქის გუბერნატორი, რომელიც საკმაოდ გამხნევდა იმით, რომ უკრაინის მოქალაქეობის მიღებით სამშობლოში ექსტრადირება თავიდან აიცილა, ახლა აცხადებს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დავბრუნდებიო.

ექსპრეზიდენტს იმედი აქვს, რომ არჩევნებში მისი პარტია — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს. როგორც მან განაცხადა: „დღეს საქართველოს პოლიტიკურ არენაზე მხოლოდ ორი ლიდერია — მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი, ამ ეტაპზე მესამე არავინ არაა. ეს გარემოება დიდი პასუხისმგებლობას მაკისრებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე თანამდებობები არც უკრაინაში მინდა და არც საქართველოში. ჩემი ამოცანაა, უფრო უკეთესი ვიყო, ვიდრე ოდესმე“.

უცნაური ფრაზაა. როგორ უნდა გავიგოთ მიხეილ სააკაშვილის ნათქვამი? რას ნიშნავს „უკეთესი უნდა ვიყო“? რომელ რანგში? პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის თუ პარტიის ლიდერის სახით? შესაძლოა ეს იმის აღიარებაა, რომ საქართველოს ლიდერად ყოფნის პერიოდში იგი ცუდად იქცეოდა და ახლა ადასტურებს, რომ შეცდომები დაუშვა? მაგრამ იქვე იგი სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს: „ჩემი დაბრუნება საქართველოში უკრაინიდან გაქცევას არ ნიშნავსო“ და უკრაინაში ჩემს გუნდთან ერთად რეფორმების გატარებას გავაგრძელებო“. საინტერესოა, როგორც იმუშავებს საქართველოში, თუ იგი ოდესის გუბერნატორის სკამზე ჯდომას გააგრძელებს? გაუგებარია. მართალია, საბჭოთა კავშირის დროს იყო შემთხვევები, როცა პირები ორ თანამდებობას ერთმანეთთან ათავსებდნენ, მაგრამ ეს ხდებოდა ერთი საწარმოს, დაწესებულების და ჰა-ჰა, ერთი ქალაქის ფარგლებში, მაგრამ ორ სკამზე იჯდე და თან სხვადასხვა სახელმწიფოებში? ეს უკვე ფანტასტიკის სფეროდანაა...

ისე, გავიხსენოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ თებერვალში ამბობდა, რომ მას საქართველოში დაბრუნება და არჩევნებში გამარჯვება სურს თავის თანამოაზრეებთან ერთად. ექსპრეზიდენტმა სწორედ მაშინ განაცხადა, რომ საქართველოში კატასტროფული სიტუაციაა და ახლანდელმა ხელისუფლებამ ქვეყანა გაალატაკაო“. დავუშვათ, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა არჩევნებში მართლაც გაიმარჯვა, მერე რა მოხდება? განა იგი პარლამენტის სპიკერი გახდება და მზერას პრეზიდენტის სავარძელს მიაპყრობს? მაშინ რა ბედი ელოდება ოდესას? დარჩება იგი უკრაინის მოქალაქედ? იქნებ ოდესელებსა და უკრაინელებს ეწყინოთ? ასე რომ, მიხეილ სააკაშვილი თავის ზრახვებში კარგად უნდა გაერკვეს, თორემ შეიძლება ორივე სკამი ცარიელი დარჩეს.

**ნიუსპრესი**



# საქართველოს საზღვრებთან ისლამისტების გააქტიურების ახალი ტალღაა

## 30 აპრილიდან დაღესტნის პოლიცია საგანგებო რეჟიმზე გადადის



მარიამ მჭედლიშვილი

**ექსპერტების პროგნოზები ჩრდილოეთ კავკასიაში ჯიჰადისტების ხელახალი გააქტიურების შესახებ გამართლდა. ისლამისტები აგრძელებენ თავდასხმებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზე. არის მშვიდობიანი მოსახლეობის დატერორების ფაქტებიც.**

ბოლოდროინდელი დანაშაულების ორგანიზატორები არიან როგორც კავკასიური იატაქვეშეთის ტერორისტები, ასევე, სირიიდან დაბრუნებული მებრძოლებიც. სიტუაცია განსაკუთრებით მძიმეა დაღესტანში.

გამოძიება ვარაუდობს, რომ დაღესტნის შამილის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსის, მაგომედოვის მკვლელობის ორგანიზატორი და შემსრულებელი შეიარაღებული იატაკქვეშა დაჯგუფებაა. ერთი წლის წინ გადამდგარი პოლიციის უფროსი ამ დღეებში კალაშნიკოვის ავტომატით ჩაცხრილეს.

მძიმეა 3 დაღესტნელი პოლიციელის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ისინი ისლამისტების საწინააღმდეგო სპეცოპერაციიდან ბრუნდებოდნენ, როცა მათი მანქანა გადაბრუნდა. ამ ავტოავარიის შემდეგ 5 მათგანი მოათავსეს საავადმყოფოში.

სპეცოპერაციის აუცილებლობა ტაბასარანის რაიონის სოფელ ჯულში სკოლის გადაწვამ, ასევე ადგილობრივი მაღაზიის გაძარცვამ გამოიწვია. დადგინდა, რომ სკოლა გადაწვა სამხრეთის დაჯგუფების წევრმა რასმინ მაგომედოვმა. მის სახლში თვითნაკეთი ბომბი აღმოაჩინეს, რომელიც გაანადგურეს.

სოფელი ჯული იმითაც მოექცა ყურადღების ცენტრში, რომ თებერვალში იქიდან გაიტაცეს ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი. პოლიცია გამტაცებლებს დაედევნა. ოპერაციის დროს ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრნენ პოლიციელები და გატაცებული, რომელიც გამტაცებლებმა გაჩერებულ ავტომობილში დატოვეს. სავარაუდო გამტაცებელი ოპერაციისას დაიღუპა.

დაახლოებით 10 დღის წინ ტერორისტებმა ჭურვი შეაგდეს ინგუშში მშვიდობიანი მოქალაქის საცხოვრებელი სახლის ეზოში. მუსა მეიერიევი ტურისტული სააგენტოს გენერალური დირექტორია. ის ჭურვის აფეთქებას გადაურჩა.

ჩრდილოეთ კავკასიაში კონფლიქტის შედეგად 11-დან 17 აპრილის ჩათვლით 11 კაცი დაშავდა, აქედან 9 დაიღუპა.

კავკასიოლოგი ანდრეი ეპიფანცევი აცხადებს, რომ დროებით შექმნილი შედარებითი მშვიდობიანობა დასრულებულია და ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამისტების მოქმედებების ახალი ტალღა დაიწყო. ამას განაპირობებს სირიიდან მებრძოლების დაბრუნება, ასევე ცხოვრების დონის გაუარესება.

ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ ცხოვრების დონე განსაკუთრებით გაუარესდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ვინაიდან მოიშალა ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთთან, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან კი დოტაციები შემცირდა.

ექსპერტი გაუმართლებლად მიიჩნევს მეტისმეტად ჰუმანურ დამოკიდებულებას სირიიდან კავკასიაში დაბრუნებული ისლამისტების მიმართ. კანონმდებლობა კრძალავს მოქალაქეების მონაწილეობას სხვა ქვეყნების არაფორმალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებში, თუმცა, მონანიების შემთხვევაში, დაბრუნებულს სასჯელი არ ემუქრება.

ამის შედეგად, სირიიდან დაბრუნებული ჯიჰადისტების საქმეებს არავინ იძიებს, მათ არავინ აპატიმრებს. დაბრუნებულებს თავისუფლად შეუძლიათ, აქ გააგრძელონ ტერორისტული საქმიანობა, შემდეგ კი სხვა სახელმწიფოებშიც გადაინაცვლონ.

ეპიფანცევი ტერორიზმთან საბრძოლველად აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის გაუმჯობესებას, რაც მათ მიმართ მოსახლეობის ნდობას გაზრდის.

30 აპრილიდან დაღესტნის მოსახლეობის უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს 8 ათასზე მეტი კაცი დაიცავს, რესპუბლიკის პოლიცია კი საგანგებო რეჟიმზე გადადის. ეს დაკავშირებულია მაისის დღესასწაულებთან, განსაკუთრებით ფაშიზმზე გამარჯვების დღის, 9 მაისის აღნიშვნასთან.

6 ათას პოლიციელთან ერთად წესრიგის დაცვაში ერთვებიან საგანგებო სიტუაციების უწყებისა და კერძო დაცვის სამსახურების თანამშრომლები. ათასზე მეტი წესრიგის დამცველი უკვე ამოწმებს მახაჩყალის ცენტრის ტერიტორიას.

ისინი დემონსტრაციის მონაწილეებსაც შეამოწმებენ, რათა სადღესასწაულო ღონისძიებებისას არ იქნეს დაშვებული ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები.

# რუსი ანალიტიკოსი: „საქართველო თურქეთის გავლენის ქვეშაა“



რუსული გამოცემა „Ноев ковчег“ აქვეყნებს თურქოლოგ ვლადიმირ ავატკოვის (მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრის დირექტორი) სტატიას, რომელიც თურქეთის ამჟამინდელ მდგომარეობას შეეხება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

თურქეთის ხელისუფლებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ ანკარა აქტიურად გადავიდა ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარებაზე, რომლის მთავარი პრინციპია მეზობელი ქვეყნებზე გავლენის მოხდენა. დოქტრინა სახელწოდებით „ნოლი პრობლემა მეზობლებთან“ (რომელსაც თურქულმა პრესამ ირონიულად უწოდა „ნული მეზობელი – ნული პრობლემა“), თავდაპირველად მიმართული იყო მოსაზღვრე ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისაკენ, მაგრამ თანდათანობით ამ დოქტრინამ სრულიად სხვა ელფერი შეიძინა, რაც მკაფიოდ ჩანს სირიისა და საქართველოს მაგალითზე.

როგორც აღმოჩნდა, მეზობლებთან „პრობლემების განულების“ ლამაზი ფირნიშის უკან თურმე თურქეთის ხელისუფლების სწრაფვა იმალება – მშვიდობიანი გზებით (ანუ „რბილი ძალის“ გამოყენებით) გაავრცელოს თავისი გავლენა მათზე, მაგრამ ხშირად მკვეთრი და ხისტი მეთოდებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თურქეთი დაუბრუნდა თავის ტრადიციულ – იმპერიულ და შემტევით – პოლიტიკას, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის რეგიონებში საკუთარი ინტერესების რეალიზების მიზნით.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან დამოკიდებულება, თურქეთის ხედვით, ერთ-ერთი წარმატებული შედეგია დოქტრინისა „ნული პრობლემა მეზობლებთან“. ისარგებლა რა პოსტსაბჭოთა საქართველოს სუსტი პოლიტიკური სისტემით და იმით, რომ თბილისს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია სურდა, თურქეთი დათანხმდა, ერთგვარი ხიდის როლი შეესრულებინა სამხრეთკავკასიური ქვეყნის ინტეგრირებაში ნატოსთან და ევროკავშირთან. მაგრამ, რადგანაც თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ „ლამაზი თვალების გამო“ არავინ არავის ეხმარება, გაწეული სამსახურისათვის ფასი უნდა გადაიხადო.

საქართველო, რომელიც რუსული „დამღუპველი“ გავლენისა და საერთოდ, რუსეთისაგან, რუსული ინვესტიციებისაგან თავდახსნას ცდილობდა, სიამოვნებით ჩაეხუტა თურქეთს ანუ იმ სახელმწიფოს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველებს შეუბრალებლად ხოცავდა. ისტორიული ფაქტების საწინააღმდეგოდ, საქართველოში დაიწყო ისეთი მითების ჩამოყალიბება, რომ თურქეთი ყოველთვის ქართველების მფარველი და მხარდამჭერი იყო, რომ დღევანდელი თურქეთი ძველი ოსმალეთისაგან განსხვავდება და რომ თანამედროვე თურქეთი ევროპული ფასეულობების გამზიარებელ, დასავლური დემოკრატიის მაგალითს წარმოადგენს.

ამ კონტექსტში, საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირების ჩარჩოებში, საქართველო იქამდე მივიდა, რომ მის მთავარ საგარეო ეკონომიკურ პარტნიორად და ინვესტორად თურქეთი იქცა: აეროპორტები ფაქტიურად თურქების ხელშია, ქართულ არმიას ბრძოლას თურქები ასწავლიან (ნატოს პროგრამის ფარგლებში), საქართველოს ეკონომიკაში თურქულ კომპანიების როლი განუხრელად იზრდება. ისმება ბუნებრივი კითხვა: განა ასეთი საგარეო პოლიტიკური და საგარეო ეკონომიკური დივერსიფიცირების წყალობით საქართველო თავისი სამხრეთ მეზობლის გავლენაში არ ექცევა?

გარდა ამისა, ცალკე თემაა ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს საქართველოს თურქეთის რესპუბლიკისათვის. საქმე იმაშია, რომ თურქეთ-აზერბაიჯანს შორის ვაჭრობის განვითარება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის მეშვეობით ხდება ანუ საქართველო ანკარასა და ბაქოს შორის თითქოსდა ბუფერის ფუნქციას ასრულებს. ეს ნიშნავს, რომ თურქეთი თავისი „რბილი ძალის“ ტექნოლოგიის აპრობაციის მიზნით საქართველოს ერთ-ერთ რგოლად და პლაცდარმად განიხილავს.

თურქეთის სახელმწიფო ინტერესის ძირითად ტერიტორიულ ობიექტს საქართველოში აჭარის ავტონომიური რეგიონი წარმოადგენს და რადგანაც აჭარაში საკმაოდ ბევრი მუსლიმანი ცხოვრობს, რეგიონი შეიძლება თურქული მოდიფიკაციის მქონე ისლამის აპრობირებისათვის იქნეს გამოყენებული. ამ მიზნისათვის თურქები ტრადიციულად იყენებენ კერძო ფონდებს, რომლებიც აშენებენ მეჩეთებსა და სკოლებს, რელიგიური თუ კულტურის სფეროს ობიექტებს. ისინი თითქოსდა დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ სინამდვილეში სახელმწიფოს პოლიტიკას ატარებენ. საერთოდ, თურქული სკოლები და (უმაღლესი სასწავლებლები) საქართველოს სხვა რეგიონებშიც არსებობენ – მათი ამოცანა მხოლოდ რელიგიური ადამიანის ჩამოყალიბება კი არ არის, არამედ ახალგაზრდა პროთურქული თაობის აღზრდაა – თაობისა, რომლისთვისაც თურქეთი ორიენტირი და სამაგალითო ქვეყანა იქნება, რომლის მეშვეობითაც საქართველოში თურქეთის მხარდამჭერი პოლიტიკურ-რელიგიური ისტებლიშმენტი შეიქმნება. განათლება, მეცნიერება, ტექნოლოგიები – ამ ყველაფრის მეშვეობით საქართველოში თურქეთი თავის მომავალს იქმნის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე 25 წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც წესით საკუთარ ძალებს უნდა ეყრდნობოდეს, რომელსაც საკუთარი ხედვა უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს წარსულისა და მომავლის მიმართ – ისეთი მომავლისა, რომელიც გარედან თავსმოხვეულ მოდელებზე არ უნდა შენდებოდეს. თურქული მოდელი, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში ინერგება, არ ემსახურება და არც შეიძლება ემსახურებოდეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ის მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომელიც აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი კობახიძე: „საარჩევნო სიის შედგენის პროცესში ბიძინა ივანიშვილი არ მონაწილეობს“



პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან 14 მაისს დაგეგმილი „ქართული ოცნების“ ყრილობისა და პარტიის საორგანიზაციო საკითხების შესახებ ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, სიის შედგენის პროცესში ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი არ მონაწილეობს.

– სიაში ნაწილობრივ ახალი სახეები იქნებიან, რომლებიც პარტიის ყრილობაზე დამტკიცდებიან. ჩვენ საწყის ეტაპზე ზოგადი კონსულტაციები გვქონდა და ეს კონსულტაციები იმ კრიტერიუმებს შეეხებოდა, რომელთა საფუძველზეც სია უნდა ჩამოყალიბებულიყო. რაც შეეხება სიის შედგენის პროცესს, ამაში ბიძინა ივანიშვილი ჩართული არაა. ის პოლიტიკისგან დისტანცირებულია და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, არც სამომავლო არჩევნებში ექნება სურვილი, სიაში იყოს, – განაცხადა კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ პარტიის „ქართული ოცნება“ ყრილობა 14 მაისს გაიმართება. ყრილობაზე აირჩევა პარტიის თავმჯდომარე და დამტკიცდება პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა.

**ნიუსპრესი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლევან კალანდაძე: „მთავარი გამოწვევა დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელია“



— ყველა აღიარებს, რომ ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დოლარიზაციის ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

ამის შესახებ ექსპერტმა ლევან კალანდაძემ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების შეფასებისას განაცხადა.

როგორც ლევან კალანდაძემ აღნიშნა, ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ფორმირება ე.წ. სტრესტესტების საფუძველზე ხდება, კერძოდ კი სებ-ი სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრს, ეკონომიკურ ტენდენციასა და ტრენდს სტრესტესტების საფუძველზე სწავლობს და ე.წ. პესიმისტურ, ოპტიმისტურ და ოპტიმალურ ვარიანტს აკეთებს.

მისივე თქმით, მონეტარული პოლიტიკის ყოველი ინსტრუმენტის გამოყენება იმ სურათს, იმ გამოწვევებს, რისკფაქტორებს ეფუძნება, რომელსაც ეს სტრესტესტები აჩვენებს.

— ის, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი შეამცირა და მით უმეტეს, ეროვნული ბანკი ამბობს, რომ თანმიმდევრულად შემცირდებაო, იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი ხედავს, რომ ქვეყანაში ინფლაციური რისკი მინიმალურია მოკლევადიანი ანუ წლის ბოლომდე პერიოდისთვის, — აღნიშნა ლევან კალანდაძემ.

ის ფიქრობს, რომ ეროვნულ ბანკსა და ეკონომიკურ გუნდს ქვეყანაში სავალუტო შემოდინებების გაზრდის მოლოდინები აქვთ.

— ეს სავალუტო წყაროები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტურისტული ნაკადები, ასევე ფულადი გზავნილები. ლარის დევალვაციის რისკი არის მინიმალური ანუ ამ გამოწვევების, შემცირებული რისკების ფონზე ქვეყანა თანდათანობით „ძვირი ფულის პოლიტიკიდან“ „იაფი ფულის პოლიტიკაზე“ უნდა გადავიდეს, — განაცხადა ლევან კალანდაძემ.

რაც შეეხება დოლარიზაციის შემცირებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, ექსპერტის თქმით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს, რომ მონეტარული და ფინანსური სტაბილურობის შემდგომი უზრუნველყოფის თვალსაზრისით ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დოლარიზაციის ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

— ამას ყველა ვაღიარებთ, პოზიციაც და ოპოზიციაც. ვინც ამ თემით სპეკულირებს, ისიც კი ამბობს, რომ ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელია. თუ აპრიორი ვაღიარებთ, რომ დოლარიზაცია არის მთავარი პრობლემა, მაშინ დოლარიზაციის შემცირების კუთხით გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

ეს არ ნიშნავს ე.წ. ჩაჩეხის პოლიტიკის განხორციელებას, ეს ნიშნავს მიზანმიმართული, გრძელვადიან პერიოდში გაწერილი გარკვეული მონეტარული ღონისძიებების გატარებას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლით გამოწვეული ტვირთი ნაკლებად საზიანო იყოს საზოგადოებისა და ბიზნესისთვის, — განაცხადა ექსპერტმა.

მან თურქეთის მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ ლირის დევალვაციაც ხდება, თუმცა მისი ტვირთი მოსახლეობაზე გაცილებით ნაკლებად აისახება, რადგან თურქეთში აბსოლუტურ უმრავლესობას სესხი და შემოსავალი ლირაში აქვს.

— ჩვენთან შემოსავალი გვაქვს ლარში და სესხი დოლარში. აქედან გამომდინარე, ლარის გაუფასურება დოლარის მიმართ არის პრობლემა. თუ ვამბობთ, რომ ეს არის პრობლემა და სოციალური სიმძიმის მიზეზი, ბუნებრივია, ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, — განაცხადა კალანდაძემ.

ამასთან, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის პოლიტიკა დღეს არის ძალიან პრაგმატული და ეფექტიანი.

— სებ-მა მონეტარული ინსტრუმენტები ეფექტიანი გახადა ანუ ლარის გამყარების ტრენდს, რაც დღესაა, ეროვნული ბანკი კარგად იყენებს. ერთი მხრივ, სავალუტო ინტერვენციებით ლარის კურსის გამყარების სიჩქარის კორექტირებას ახდენს და არა ლარის კურსის (ზოგიერთები რომ სპეკულირებენ ამ თემით) და, მეორე მხრივ, ამ პერიოდს იყენებს გადასარევად იმისთვის, რომ სავალუტო რეზერვები შეავსოს, — განაცხადა კალანდაძემ და დასძინა, რომ ასევე სანახავია ის, თუ რა გზით აპირებს ეროვნული ბანკი მონეტარული ინსტრუმენტების კორექტირებას.

* * *

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით 7,5%-მდე შეამცირა. გარდა ამისა, ლარით მოზიდული სახსრების წახალისების მიზნით მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გადაწყვიტა ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის 10%-დან 7%-მდე შემცირება.

ამავდროულად, მომავალში ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედი შესაძლო რისკების შესარბილებლად, უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე განსაზღვრული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა 15%-დან 20%-მდე იზრდება.

აღნიშნული ცვლილება 16 ივნისიდან ამოქმედდება.

**ბიპიენი**

# რომან გოცირიძე: „ლარს ამყარებს დოლარზე მოთხოვნის შემცირება და არა — დოლარის მოწოდების ზრდა“

ლარის მკვეთრი ვარდნის გამო ორგანიზმმა ღრმა ჭრილობა მიიღო, შეხორცების პროცესია და სახვევების ნაადრევად მოშორებამ შეიძლება ინფექცია შეგვყაროს.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ განაცხადა.

რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ რეფინანსირების განაკვეთის 7.5%-მდე შემცირება დროული და სწორი არ იყო.

— ორიოდე თვის წინ, როცა ლარის კურსი 2.39-დან 2.5-მდე დაეცა, ვერავინ იფიქრებდა, რომ მონეტარული პოლიტიკა შერბილდებოდა უახლოეს მომავალში. უფრო პირიქით. აგერ უკვე სულ სხვა გადაწყვეტილება იქნა მიღებული. რაიმე შეიცვალა ამ ორ თვეში ფუნდამენტურად? არაფერი. მხოლოდ ლარის სწრაფმა გამყარებამ შექმნა ილუზია, — განაცხადა რომან გოცირიძემ.

მისი თქმით, სულ ერთი თვეა, რაც ლარი მყარდება და ჩათვალეს, რომ ყველა საფრთხემ გადაიარა.

— სტაბილიზება არის მყიფე. ლარის გამყარება ლოგიკურია. საერთაშორისო პრაქტიკით, ანალოგიური სავალუტო კრიზისებიდან გამოსვლა იწყება დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ. ეს ნაცნობი სცენარია. ნელ-ნელა იწყებს ექსპორტი ზრდას, საფონდო ბაზარი გამოცოცხლებას და ასე შემდეგ, — აღნიშნა ექსპერტმა.

ჩვენ ახლა ამ ციკლის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით და სიფრთხილეა საჭირო.

— მილიარდი დოლარით შემცირდა იმპორტი, ე.ი. შემცირდა დოლარზე მოთხოვნაც, რაც დიდწილად კურსის კორექტირების ეფექტია ანუ უფრო მოთხოვნის შემცირება ამყარებს ლარს და არა უცხოური ვალუტის მოწოდების ზრდა, — განაცხადა რომან გოცირიძემ.

მან აღნიშნა, რომ მცირეოდენი დადებითი ნიშნები ბოლო დროს შეიმჩნევა ექსპორტისა და გადმორიცხვების მხრივ.

— მთავარი დადებითი ფაქტორი ტურიზმია. შარშან 2 მილიარდი დოლარი შემოვიდა ამ დარგიდან. წელს მეტი იქნება თურქეთსა და ეგვიპტეში რუსი ტურისტების რუსეთის მთავრობის მიერ ამ ქვეყნებში შესვლის შეზღუდვის გამო. ინვესტიციური აქტივობაცაა შესასწავლი, — აღნიშნა ექსპერტმა.

მისივე თქმით, ეროვნული ბანკის ეს გადაწყვეტილება ცუდ სიგნალს აძლევს მთავრობასაც და ნაცვლად მომჭირნე საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისა, აიმედებს დეფიციტური ხარჯვის უვნებლობაში.

— ცოტა ხნის წინათ მთავრობა 300-400 მილიონი ლარის ოდენობის სეკვესტრზე ლაპარაკობდა, ახლა კი თურმე ფულის მასის ზრდა ყოფილა საჭირო და არა მისი მკაცრი კონტროლი. ეკონომიკური ზრდის წახალისება ამ მდგომარეობაში დიდი ფუფუნებაა ჩვენთვის და სარისკოც, — განაცხადა რომან გოცირიძემ.

მისი თქმით, პირველი კვარტლის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა ვერ შესრულდა 7 პროცენტით. იგივე ხდება აპრილის თვეში და ეს ძველი სენი გრძელდება და ხარჯვის მთელი სიმძიმე ბოლო კვარტალზე გადავა.

— ხარჯებში ჩამორჩენაცაა ლარის გამყარების ერთ-ერთი მიზეზი. ვერ აითვისებენ ფულს ინფრასტრუქტურაში, გადაისვრიან წლის ბოლოს ჯანდაცვაში. შარშან ასი მილიონი ლარით გაირღვა ამ სფეროს ბიუჯეტი, წელსაც იგივე პირი უჩანს.



იმის თქმა მინდა, რომ ფული იყოს და ამთვისებელი გამოჩნდებაო. ეს ყველაფერი კი არჩევნების ბოლოს მოხდება და ახალ მთავრობას დაატყდება თავს. ამიტომ არის ბიუჯეტის გაჯანსაღება მნიშვნელოვანი. მერე უფრო უადვილდება ეროვნულ ბანკს თავისი ინსტრუმენტებით მონეტარული პოლიტიკის გატარება, — განაცხადა გოცირიძემ.

**ბიპიენი**

# მარტში ვადაგადაცილებული სესხები 22.0 მლნ ლარით შემცირდა




მარტში ვადაგადაცილებული სესხები 22.0 მლნ ლარით შემცირდა და 324.8 მლნ ლარს გაუტოლდა. ამის შესახებ ნათქვამია მარტის „თვის მიმოხილვაში“, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს.

სებ-ის ინფორმაციით, 2016 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 241.4 მლნ ლარით შემცირდა და 15.62 მლრდ ლარს გაუტოლდა.

საკრედიტო პორტფელის კლებაზე გავლენა მოახდინა უცხოური ვალუტით გამოსახული სესხების ლარით გამოსახული მაჩვენებლის კლებამ.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა 9.6% შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, სესხების წლიური ზრდა 6.2% იყო.

მარტის ბოლოსთვის, საკრედიტო პორტფელის 79.3% გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა. რომლის 70.3% უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 46.0%-ს შეადგენდა.

„თვის მიმოხილვის“ თანახმად, საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 61.6 მლნ ლარით (1.2%) გაიზარდა და 5.43 მლრდ ლარს გაუტოლდა.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა მარტში 66.0 მლნ აშშ დოლარით (1.5 %) გაიზარდა და პერიოდის ბოლოს 4.42 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ კატეგორიის კრედიტების 60.9%-ს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა, ხოლო 83.2% გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდა, ძირითადად ფიზიკური პირების გრძელვადიანი დაკრედიტების ზრდით არის გამოწვეული.

**ბიპიენი**

## საზოგადოება

# მიხეილ მაჭავარიანი: „გამოკითხულთა უმეტესობის მოსაზრება, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, მთავრობის უნიათობის შედეგია“



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი IრI-ის კვლევებში იმ ადამიანების რიცხვის ზრდას, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, მთავრობის უნიათობას უკავშირებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, ხელისუფლება ვერ პასუხობს ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებს, რაც ეკონომიკას უკავშირდება და ეს IრI-ის კვლევის შედეგებმაც ნათლად გამოაჩინა.

— ძალიან სამწუხარო მაჩვენებელია. ბოლო წლებში მართლაც ერთი მაღალი მაჩვენებელია, რომლის თანახმადაც ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ქვეყანა არასწორი გზით ვითარდება. პირველ რიგში ამას ვუკავშირებ ეკონომიკას, რადგან კვლევაში ჩანს, რომ მთავარი გამოწვევები, რომელსაც ჩვენი მთავრობა ვერ პასუხობს, ეს არის უმუშევრობა, ეკონომიკა, სიღარიბე, დაუცველობა იმ პრობლემების წინაშე, რომელიც აქვს ჩვენს მოსახლეობას.

ასევე არის მთავრობის უნიათობა, არაფორმალური მართვა, ის, რომ ხალხზე არავინ ფიქრობს და ყველაფერი გადასულია ურთიერთბრალდებებზე, შურისძიებაზე, დაპირისპირებაზე. ჩვენი ხელისუფლება ხალხს, საზოგადოებას აპირისპირებს, ნაცვლად იმისა, რომ აერთიანებდეს, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

რაც შეეხება პარტიულ რეიტინგებს, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი განმარტავს, რომ ამაზე მნიშვნელოვანია ის, თუ ვისში ხედავს მოსახლეობა პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს.

— მოქალაქეები ვერ ხედავენ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას შეუძლია მოაგვაროს ის პრობლემები, რომელიც მათ წინაშეა. ისინი ხედავენ სხვა ძალებს, რომლებსაც ამ პრობლემების მოგვარებას უკავშირებენ. ამ კვლევაში მთავარი არ არის — შენ ან სხვას რამდენი რეიტინგი გაქვს.

ჩემთვის მთავარია, როგორ ხედავს ჩვენი მოსახლეობა იმ პრობლემების მოგვარების გზას, რომელიც ამ უნიათო მთავრობის გამო დაუგროვდა. ამიტომ ჩვენ ბევრი გვაქვს სამუშაო პროგრამაზე, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს შედგენილი და რომელმაც ეს პრობლემები უნდა მოაგვაროს. იმიტომ, რომ მთავრობას არ აქვს ასეთი პროგრამა სამწუხაროდ.

ყველაფერზე შეიძლება მთავრობამ ილაპარაკოს, გარდა თავისი პროგრამისა, როგორ მოაგვაროს ჩვენი მოქალაქეების წინაშე მდგარი პრობლემები, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სოფელ გავაზში 30-მდე სახლი დაიტბორა




ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში მოსულმა უხვმა ნალექმა ადგილობრივი მდინარის ადიდება გამოიწვია, რის გამოც სოფელში 30-მდე სახლი და ეზო დაიტბორა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გავაზის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელმა რამაზ წყალობაშვილმა განუცხადა, ამ დროისთვის მდგომარეობა სტაბილურია და სახლებიდან წყლის ამოტუმბვა უკვე დასრულებულია.

— ღამის ორი საათიდან გარეთ ვართ და ვმუშაობთ. ამ დროისთვის სახლებიდან წყლის ამოტუმბვა დასრულებულია. მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგა, — განაცხადა წყალობაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მკურნალი მცენარე

**ქაცვი** – ფშატისებრთა ოჯახს ეკუთვნის. იგი ხშირტოტებიანი დაბალტანოვანი მცენარეა, მუქი ნაცრისფერი ქერქით. დამოკლებული ტოტები ეკლით ბოლოვდება. ნაყოფი მრგვალია ან მოკლე ელიფსოიდური, ნარინჯისფერი ან მოწითალო, წვნიანი კურკიანაა. ქაცვი ყვავის აპრილ-მაისში ფოთლების გაშლამდე. ნაყოფი აგვისტო-ოქტომბრის განმავლობაში მწიფდება, იმასთან დაკავშირებით, თუ ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე იზრდება იგი.



ახასიათებს ყოველწლიური უხვმსხმოიარობა. მას შეიძლება შევხვდეთ მთაშიც და ბარშიც. უყვარს ნესტიანი ადგილები. ერთნაირად იტანს როგორც ზაფხულის სიცხეს, ასევე ზამთრის მკაცრ ყინვებსაც. ქაცვის ნაყოფი შეიცავს: ვიტამინებს, კაროტინს.

ნაყოფისგან ხდიან ცხიმს, რომელიც მდიდარია ვიტამინებით და არეგულირებს კანის ნივთიერებათა ცვლას. ქაცვის ზეთს ჭრილობების შეხორცებისა და ტკივილგამაყუჩებელის ითვისება აქვს. მას იყენებენ ეგზემის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, დასხივებით გამოწვეული დაავადების, აგრეთვე გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. მასვე იყენებენ პროფილაქტიკურ საშუალებად საყლაპავი მილის კიბოს დასხივებით მკურნალობისას. ქაცვის ნაყოფებით ქსოვილებსა და მატყლს ყვითელ ფერად ღებავენ. ქაცვის ნაყოფს ჭამენ როგორც ხილს, მისგან მზადდება მურაბა, კისელი, ღვინო, სიროფი და სხვ.

***

**კრაზანა** – მრავალწლოვანი მცენარეა. იგი სილამაზით არ გამოირჩევა, მაგრამ სურნელოვანი და სასარგებლოა. იზრდება 40-50 სმ სიმაღლის. კრაზანას ფოთოლს თუ დააკვირდებით, მისი წინწკლები ნასვრეტები გეგონებათ. მისი ყვითელი და არომატული ყვავილი იზიდავს ფუტკარს.

კრაზანას ლეჩხუმსა და იმერეთში „თავცეცხლასაც" უწოდებენ, რადგან შემოდგომით მთელი მცენარე წითელია. მას შევხვდებით ტყის პირებსა და მინდვრებში.

იგი შეიცავს ეთეროვან ზეთებს, კაროტინს, მღებავ და მთრიმლავ ნივთიერებებს. მისი ნახარშით მკურნალობენ საჭმლის მომნელებელი სისტემის, ღვიძლის დაავადებებს. გამოიყენება დამწვრობისა და დაჩირქების დროს ჭრილობების შესახორცებლად. აქვს კარგად გამოხატული შემკვრელი, ოფლმდენი და მადის მომგვრელი თვისება.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ტუბერკულოზის, რევმატიზმის, კუჭის წყლულის, დაჟეჟილობების და სხვა შემთხვევაში.

# თაფლი მკურნალია



ჯერ კიდევ შორეულ წარსულში თაფლს იყენებდნენ, როგორც სამკურნალო საშუალებას. ეგვიპტელები 3500 წლის წინ თაფლით ჭრილობებს კურნავდნენ.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე, რომელმაც 10 წელზე მეტი იცოცხლა, ამბობდა: თუ გინდათ დიდხანს იცოცხლოთ და ჯანმრთელნი იყოთ, საჭიროა „შინაგანი ორგანოების მორწყვა თაფლით, გარეგანისა კი – ცხიმით".

ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობისას კარგ შედეგს იძლევა შემდეგი კომბინაცია: ერთი ჭიქა სტაფილოს წვენი, ერთი ჭიქა პირშუშხას წვენი, ერთი ჭიქა თაფლი და ერთი ცალი ლიმონის წვენი.

ადამიანის გულის კუნთები განუწყვეტლივ მუშაობენ და დახარჯული ენერგიის სანაცვლოდ, ესაჭიროებათ გლუკოზა, რომელიც თაფლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, გულის დაავადებათა შემთხვევაში აუცილებელია, ყოველდღიურ რაციონში ავადმყოფს მიეცეს თაფლი, როგორც დიეტური და სასარგებლო საკვები.



თაფლის გარდა, გულის შესუსტებული მუშაობის დროს გამოიყენება, აგრეთვე ფუტკრის რძის 20 მგ-იანი აბი დღეში სამჯერ. კურსი გრძელდება 15-20 დღეს.

***

გულის ნებისმიერი დაავადების დროს, როდესაც კუნთები დასუსტებულია, შესანიშნავ შედეგს იძლევა 1-2 თვის განმავლობაში 50-70 გრ თაფლის მიღება დღე ღამეში.

ასეთი მკურნალობის დროს უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა, გულსისხლძარღვთა ტონუსი და ჰემოგლობინის შემცველობის პროცენტი.

თაფლი გულ სისხლძარღვთა დაავადებებისას გამოიყენება სხვა კომპონენტებთან ერთადაც. ამ შემთხვევაში მკურნალობის ეფექტიანობა კიდევ უფრო მაღალია.

1. აიღეთ 2 ჩაის ჭიქა ასკილის ნახარში, შეურიეთ ერთი კოვზი თაფლი. მიიღეთ სამჯერ დღეში ნახევარი ჭიქის ოდენობით. კურსი გრძელდება ხუთ დღეს, შემდეგ ხუთ დღეს შეწყვეტთ მიღებას და ასე გაიმეორებთ სამჯერ.

2. გულის ჰიპერტონული დაავადებისა და უძილობის დროს გამოიყენება ერთი ჭიქა ბორჯომის წყალში გახსნილი ერთი კოვზი თაფლი, ნახევარი ლიმონის წვენთან ერთად. მიიღება დილით, უზმოზე და საღამოს, ძილის წინ.

3. შესანიშნავ შედეგს იძლევა ჰიპერტონული დაავადების დროს, შემდეგი ნარევი: 1 ჭიქა წითელი ჭარხლის წვენს, 1 ჭიქა სტაფილოს წვენს, 36 საათით ადრე მომზადებულ 1 ჭიქა წყლისა და 1 ცალი ლიმონის წვენის ნარევს დავუმატოთ 1 ჭიქა თაფლი. მიიღება თითო სუფრის კოვზი 2-3 ჯერ დღეში, ჭამის წინ 1 საათით ადრე ან საჭმლის მიღებიდან 2-3 საათის შემდეგ. მკურნალობის კურსი – 1,5 თვეა.

***

### ლიმონის, ფორთოხლის და თაფლის ნარევი

ეს ნარევი წმენდს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ორგანიზმს არტერიული წნევის შენარჩუნებაში. ის სპობს სტენოკარდიის, ინფარქტების და თავის ტვინში სისხლჩაქცევების შესაძლებლობებს.

მომზადების წესი: 2 საშუალო ზომის ლიმონი და 2 ცალი ფორთოხალი თავის კანიანად დაჭერით ნაწილებად, მოაცილეთ თესლები და გაატარეთ ხორცსაკეპში. მიღებულ მასას შეურიეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი. ნარევი გააჩერეთ მინის ქილაში 1 დღე ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ კი მოათავსეთ მაცივარში.

მიიღეთ 2-3 ჩაის კოვზი დღეში ჩაისთან ერთად ან ჭამამდე 30 წუთით ადრე.

***

### ასკილის სასმელი თაფლით

10 ცალ ასკილის ნაყოფს დავასხამთ 2 ჭიქა წყალს და ვადუღებთ 10 წუთის განმავლობაში. ნახარში როდესაც შეგრილდება, უნდა გადაიტანოთ ნაყოფებთან ერთად მინის ჭურჭელში, დააფაროთ დოლბანდი და შეინახოთ ბნელ ადგილას 10-12 საათს, რის შემდეგ ნახარში გადაწურეთ, ხოლო ნაყოფი გაწურეთ. მიღებულ ნახარშს დაუმატეთ 50-60 გრ თაფლი და აურიეთ. სასმელი უნდა გამოიყენოთ 12-24 საათის განმავლობაში, სანამ „ცე" ვიტამინი დაიშლება. მოზრდილ ადამიანს დღეში ესაჭიროება 2 ჭიქა სასმელი, ხოლო ბავშვებს – 1.

## სახის კანის მოვლის „საიდუმლო"



სახის კანის მოვლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ წყალს იყენებთ პირის დასაბანად. უპირატესობა ეძლევა რბილ წყალს, რომელიც არ შეიცავს კანის გამაღიზიანებელ ნივთიერებებს. ასეთია წვიმისა და თოვლის წყალი, კალციუმის მარილების შემცველი ხისტი წყლის ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება. ამიტომ საჭიროა წყალი ხმარების წინ ან აადუღოთ ან უბრალოდ მასში ჩავუმატოთ საჭმელი სოდა (ჩაის კოვზის მეოთხედი სოდა ერთ ჭიქა წყალზე).

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება წყლის ტემპერატურასაც.

ვისაც მშრალი სახის კანი აქვს, უნდა მოერიდოს ხისტი და ცივი წყლით სახის დაბანას, დაბალ ტემპერატურას, სახის არააკურატულად გამშრალებას, საპნის ხშირ ხმარებას. ზემოაღნიშნული კიდევ უფრო აშრობს კანს, იქერცლება და წარმოიშობა კანის დასკდომაც. სჯობს, სახე დაიბანოს მხოლოდ საღამოთი, რადგან ღამის განმავლობაში გამოყოფილი ცხიმი გროვდება კანზე. დილით პირის დაბანით კანი გაუცხიმოვნების (სიცივის, სიცხის, ქარის) მიმართ მგრძნობიარე ხდება.

სახე უნდა დაიბანოთ ოთახის ტემპერატურის გადადუღებული წყლით უსაპნოდ. თუ ხელთ არ გაქვთ ანადუღარი წყალი, დასარბილებლად ერთ ლიტრ წყალში ჩაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა.

კარგია სახეზე დამბალი შავი პურის ფაფის წასმა 2-3 წუთით, რომელსაც შემდეგ ჩამოიბანთ და წაისვამთ მკვებავ მალამოს, მაგრამ თუ სახის კანი მეტისმეტად მშრალია, გირჩევთ, კვირაში 2-3-ჯერ გაიკეთოთ დამარბილებელი ნიღაბი, რომელსაც ერთი კვერცხის გულითა და ერთი ჩაის კოვზი თაფლით დაამზადებთ. ნიღბის მოცილების შემდეგ ცხიმიანი მკვებავი შეიზილეთ. გამოგადგებათ თანაბარი რაოდენობის კვერცხის გულის, თაფლის, არაჟნის ნარევიც.

უნდა მოერიდოთ პუდრის ხმარებასაც, რეკომენდებული არ არის სახის კანის გაწმენდა სუნამოთი, სპირტზე დამზადებული ბალახეულის ნაყენებით.

## სპორტი

## მანუელ პელეგრინი შეიძლება მილანის მწვრთნელი გახდეს



ყველასთვის ცნობილია, რომ წლევანდელი სეზონის მიწურულს მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელი მანუელ პელეგრინი თანამდებობას დატოვებს და მის მაგივრად ხოსეპ გვარდიოლა მოვა.

პელეგრინი ევროპაში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ამიტომ მისი სამსახურით ბევრი კლუბია დაინტერესებული. რამდენიმე ხნის წინ აქტიურად იწერებოდა იმის შესახებ, რომ პელეგრინი მომავალ სეზონში სანკტ პეტერბურგის ზენიტს ჩაუდგებოდა სათავეში. ამჯერად კიდევ ერთი გუნდი გამოჩნდა, რომელიც პელეგრინის თავისთან იხმობს და ეს იტალიური მილანია, სადაც ორი კვირის წინ სინიშა მიხაილოვიჩი გაუშვეს და მის მაგივრად მილანს კრისტიან ბროკი წვრთნის. თვითონ პელეგრინი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

## იურგენ კლოპს ლივერპულის სჯერა




ლივერპულმა ევროპის ლიგის ნახევარფინალში ვილიარეალთან დასანანი მარცხი იწვნია. ესპანურმა გუნდმა 1:0 მოიგო და შეხვედრის ერთადერთი გოლი 92-ე წუთზე გავიდა.

ლივერპულის გერმანელი მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო იმედგაცრუებული იყო, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლივერპული ენფილდზე ვილიარეალს დაამარცხებს და ევროპის ლიგის ფინალში გავა. გერმანელი სპეციალისტის აზრით, ლივერპულმა თითქმის იდეალური შეხვედრა ჩაატარა და გაშვებული გოლი არ იყო ლოგიკური. გარდა ამისა, კლოპმა აღნიშნა, რომ საკუთარ მოედანზე ლივერპულს ბევრი გუნდის დამარცხება შეუძლია და ვილიარეალი გამონაკლისი არ არის.

ლივერპული ვილიარეალს საკუთარ მოედანზე 5 მაისს მიიღებს.

## არდა ტურანი ბარსელონადან წასვლას არ აპირებს



ბარსელონას თურქი ნახევარმცველი არდა ტურანი ბარსელონას დატოვებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში ჭორები გავრცელდა, რომ არდა ბარსელონას ვერ შეეწყო და წასვლას აპირებსო.

ტურანმა თამაში მხოლოდ იანვრის შემდეგ დაიწყო და ჯერჯერობით თავისი საუკეთესო ფორმისგან შორს არის. არდა ამის გამო არ ღელავს და თვლის, რომ მომავალ სეზონში აუცილებლად შეძლებს თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენას.

ტურანი ბარსელონაში მადრიდის ატლეტიკოდან გადავიდა.

## კრიშტიანო რონალდუ სიტისთან თამაშს შეძლებს




მადრიდის რეალის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

ასეთ პროგნოზს აკეთებენ ექიმები, რომლებმაც რონალდუს გამოკვლევა ჩაუტარეს. კრიშტიანომ ტრავმა ვილიარეალთან მიიღო და მას შემდეგ თავისი გუნდის უკვე ორი შეხვედრა გამოტოვა.

რონალდუ რეალს ვერც რეალ სოსიედადის წინააღმდეგ დაეხმარება, მაგრამ ორშაბათს ის უკვე მთელი დატვირთვით შეძლებს ვარჯიშს, ხოლო მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ რეალი ოთხშაბათს ითამაშებს.

მადრიდელები ფავორიტებად ითვლებიან, თუმცა სიტიმ პირველ მატჩში გოლი არ გაუშვა, ამიტომ რეალს ძალიან დაძაბული შეხვედრა ელის წინ.

შეგახსენებთ, რომ პირველი თამაში ამ გუნდებს შორის 0:0 დასრულდა.

## რანიერი 5 მილიონ ფუნტი სტერლინგს მიიღებს
### ლესტერის ჩემპიონობის შემთხვევაში



ლესტერი უკვე ძალიან ახლოს არის ჩემპიონობასთან. ამ გუნდის ასეთი კარგი თამაში დიდწილად მათი მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის დამსახურებაა.

თუ ლესტერი საქმეს ბოლომდე მიიყვანს და ინგლისის ჩემპიონი გახდება, რანიერი ბონუსის სახით 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ბუნებრივია, ფულადი ჯილდოს გარეშე არც ფეხბურთელები დარჩებიან. ლესტერს ჩემპიონობის მოპოვება უკვე შემდეგ თამაშში შეუძლია, რომელსაც რანიერის გუნდი კვირას მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ გამართავს.

ლესტერი ამ მატჩის მოგების შემთხვევაში ოფიციალურად ინგლისის ჩემპიონი გახდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## ჯო ბაიდენი ერაყში ჩავიდა




აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი ერაყში ჩავიდა. ამით მან გამოხატა თავისი მხარდაჭერა ერაყის ხელისუფლებისადმი, რომელიც ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს.

— ერაყის არმიამ პირველ სერიოზულ წარმატებებს უკვე მიაღწია. ახლა აუცილებელია ამ წარმატებების განმტკიცება, — თქვა ბაიდენმა.

## ლავროვი შვედეთს ემუქრება

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ თუკი შვედეთი ნატოს წევრი გახდება, მოსკოვი კონტრზომებს განახორციელებს.

— ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ნატო ჩვენს საზღვრებთან და ინფრასტრუქტურასთან ახლოს მოვიდეს. გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რათა ეს არ დავუშვათ, — ამბობს მინისტრი.

რუსული ჩვეულებისამებრ ლავროვმა კუნთებიც აათამაშა და აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს შვედეთზე სამხედრო დარტყმების განხორციელებას.

— თუმცა, როგორც დიპლომატი, ვამჯობინებდი, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს, — დაამატა მან.

## თავდასხმა „მემორიალზე“



მოსკოვში უცნობმა პირებმა განახორციელეს თავდასხმა „მემორიალის“ მიერ მოწყობილ სკოლის მოწაფეების კონკურსის მონაწილეებზე.

თავდამსხმელებს ეკეთათ ნიღბები, მკერდს კი გიორგის ლენტები უმშვენებდათ.

— ისინი გვცემდნენ და გაჰყვიროდნენ: „ამერიკის აგენტებო, ამერიკაში წაეთრიეთ!“ — ამტკიცებს „მემორიალის“ წევრი, მწერალი გალინა ულიცკაია.

თავად ულიცკაიას თავდამსხმელებმა სახეში ბრილიანტის მწვანე შეასხეს, სხვებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

— უდავოდ სამარცხვინოა, რაც მოხდა. ხულიგნები საკადრისად დაისჯებიან, — თქვა პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა.

## რატომ მოსწონთ რუსებს ტრამპი?

ლევადა ცენტრის მონაცემების თანახმად, რუსების 77%-ს სურს, რომ დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტი გახდეს. თავად აშშ-ში ტრამპის რეიტინგი 28%-ს არ აღემატება.

შეკითხვაზე, რა მოგწონთ ტრამპში, გამოკითხულთა უმრავლესობამ მიუგო:

— ის რუსეთის მიმართ კეთილადაა განწყობილი და ჩვენთან მეგობრობა სურს.

ამის გარდა, რუსებს მოსწონთ, რომ ტრამპი ენერგიული და შეურიგებელია.

— ტრამპისთვის უცხოა დემოკრატია. ის ამერიკელი ნაციონალისტი და პუტინის თანამოაზრეა. თუ ტრამპმა გაიმარჯვა, დემოკრატიული სამყარო დაინგრევა, რუსეთის ძლიერებაც აღდგება, — ამბობენ რუსები.

## ჩხუბი თურქეთის პარლამენტში



თურქეთის პარლამენტში მმართველი პარტიის წარმომადგენლებსა და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წევრებს შორის ხელჩართული შეტაკება მოხდა. ინციდენტი სიტყვიერი შელაპარაკებებით დაიწყო, რასაც გინება და მუშტი-კრივი მოჰყვა. ჩხუბში ათზე მეტი დეპუტატი მონაწილეობდა. მოჩხუბართა დაშოშმინება გაჭირვებით მოხერხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საფრანგეთის პარლამენტში ხელისუფლებას ანტირუსული სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდეს

საფრანგეთის პარლამენტში კარგა ხანია აქტიურობენ ჯგუფები, რომლებიც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდებენ.

ამ ჯგუფებს განეკუთვნებიან რესპუბლიკელები (სარკოზის მომხრეები), სხვადასხვა ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე ორგანიზაციების წარმომადგენლები. სანქციების გაუქმების წინააღმდეგნი კი სოციალისტები და მწვანეები არიან.

ამჯერად სანქციების გაუქმების მოთხოვნით კონსერვატორი დეპუტატი ტიერი მარიანო მოგვევლინა. თავის მოსაზრება მან შემდეგნაირად დაასაბუთა: სანქციები ეფექტს არ იძლევა; დონბასის კონფლიქტი, რომელმაც საერთაშორისო სახე მიიღო, ვერ მოგვარდა; სამაგიეროდ, სანქციების შედეგად საფრანგეთის ეროვნული ინტერესები ილახება.

მარიანოს მხარი დაუჭირეს როგორც რესპუბლიკელებმა, ასევე ულტრამემარჯვენე თუ ულტრამემარცხენე დაჯგუფებების წარმომადგენლებმა. მათ კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ სოციალისტები და მწვანეები.

დებატების შედეგად მხარეები კომპრომისამდე მივიდნენ: კენჭისყრაზე დადგა არა სანქციების გაუქმების, არამედ რეკომენდაციული ხასიათის დადგენილება.

კენჭისყრის შედეგად საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ ამას მხარი დაუჭირა. მიიღეს დადგენილება, რომელიც მთავრობას ურჩევს, გააუქმოს რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები.

მარიანო უკმაყოფილებას ვერ მალავდა:

— დადგენილება რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს! დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ამ რეკომენდაციას არავინ გაიზიარებს!



საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დადგენილებამ ევროკავშირის ხელმძღვანელებს შორის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელმა მაია კოსიანჩიჩმა განაცხადა:

— დადგენილება სანქციების დაწესების შესახებ ევროკავშირმა ერთსულოვნად მიიღო და ისინი ამა წლის ივლისამდეა შემოღებული. ამ დრომდე სანქციებს ვერავინ გააუქმებს. მათი შემდგომი ბედი დამოკიდებულია იმაზე, შესრულდება თუ არა მინსკის შეთანხმებები.

თავის მხრივ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია:

— სანამ მინსკის შეთანხმებები არ შესრულდება, სანქციები არ გაუქმდება!

ამრიგად, ევროკავშირი რუსეთის მიმართ სანქციებს არ აუქმებს. პარლამენტის რეკომენდაციის გაზიარებას არც საფრანგეთის მთავრობა აპირებს, ევროპაში კი პრორუსული ლობი აქტიურდება.

**ნიკა თევზაძე**

## სამანტა პაუერი: „დონბასში არჩევნების ჩასატარებლად პირობები არ არსებობს“

შედგა გაეროს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც უკრაინაში შექმნილ მდგომარეობას მიეძღვნა.

აშშ-ის ელჩმა გაეროში სამანტა პაუერმა განაცხადა, რომ დონბასში ადგილობრივი არჩევნების ჩასატარებლად პირობები არ არსებობს.

— დონბასის ნაწილი შეიარაღებული ბანდების ხელშია! ტერორი და ძალადობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა! ასეთ სიტუაციაში არჩევნები ვერ ჩატარდება, — თქვა პაუერმა.




აშშ-ის ელჩი ყირიმის ოკუპაციის საკითხსაც შეეხო.

მან განაცხადა, რომ რეფერენდუმს ყირიმის რუსეთთან შეერთების თაობაზე იურიდიული ძალა არ გააჩნია. პაუერმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის უკანასკნელი ნაბიჯები, კერძოდ, ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისის ექსტრემისტულ ორგანიზაციად გამოცხადება და მისი აკრძალვა საერთაშორისო ნორმებში ვერ ჯდება.

— დონბასის ომი და ყირიმის ოკუპაცია, ყირიმელ თათართა დევნა-შევიწროება ერთი პრობლემის ნაწილებია. ეს პრობლემა რუსეთმა შექმნა, — თქვა პაუერმა.

მან აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებები მხოლოდ რუსეთის გამო ვერ სრულდება. სანქციებიც რუსეთის მიმართ უნდა შენარჩუნდეს.

— მოვუწოდებ რუსეთის ხელმძღვანელობას, გამოიყენოს თავისი გავლენა სეპარატისტებზე და დონბასში მშვიდობა უზრუნველყოს. ცეცხლის შეწყვეტის გარეშე წინსვლაზე საუბარიც კი არ შეიძლება, — აცხადებს პაუერი.

როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემებით, უკრაინელთა 60% დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია; 22% ამას მხარს უჭერს; თავად დონბასის მოსახლეობის 59% კი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ემხრობა.

— დონბასი მთლიანად გაპარტახებულია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გახიზნულია. ხალხი ომისგან დაიღალა. მათთვის მთავარია მშვიდობა და არა — დონბასის სტატუსი, — აცხადებს რეგიონალთა პარტიის ყოფილი წევრი ირინა აკიმოვა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ინტრიგა მხოლოდ ესპანეთშია

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპაში ეროვნული ჩემპიონატები დასასრულს უახლოვდება. თითქმის ყველგან გარკვეულია ჩემპიონი გუნდი და ახლა მხოლოდ ფორმალური მატჩები დარჩათ ჩასატარებელი. ინტრიგა მხოლოდ ესპანეთშია. ვნახოთ, რა მოხდება ამ უქმეებზე.

**ინგლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.04 ევერტონი-ბორნმუთი | 1.83 | 3.75 | 4.0 |
| 30.04 ნიუკასლი-კრ.პალასი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 30.04 უოტფორდი-ასტონ ვილა | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 30.04 სტოკი-სანდერლენდი | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 30.04 ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 30.04 არსენალი-ნორვიჩი | 1.25 | 6.0 | 10.0 |
| 01.05 სუონსი-ლივერპული | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 01.05 მანჩესტერი-ლესტერი | 2.1 | 3.3 | 3.6 |
| 01.05 საუთჰემპტონი-სიტი | 2.75 | 3.3 | 2.5 |
| 02.05 ჩელსი-ტოტენჰემი | 2.8 | 3.3 | 2.5 |

**ევერტონი-ბორნმუთი**

ევერტონი: ***ტრავმ***-სიმუს კულემანი, ფილ იაგიელკა, ტიას ბრაუნინგი; ***დისკვ***-რამირო ფუნეს მორი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ტოკელო რანტიე, ადამ სმიტი, ჰარი არტერი, ტაირონ მინგსი

**ნიუკასლი-კრ.პალასი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სტივ ტეილორი, დარილ იანმაატი, რობერტ ელიოტი, ფაბრიციო კოლოჩინი, მასადიო ჰაიდარა, ტიმ კრული

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბრედ ნაჰგელანდი, მარუან შამახი

**უოტფორდი-ასტონ ვილა**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ეტიენ კაპო

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კირონ რიჩრდსონი, კირონ კლარკი, ჯორდან ამავი

**სტოკი-სანდერლენდი**

სტოკი: ***ტრავმ***-შეი გივენი, იბრაჰიმ აფელაი, ჯეკ ბატლანდი, გლენ ჯონსონი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-არავინ

**ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბენ ფოსტერი, სეიდო ბერანიო, ალექს პრიჩარდი, ჯეიმს მორისონი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-არავინ

**არსენალი-ნორვიჩი**

არსენალი: ***ტრავმ***-არავინ

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ენდრიუ უიდსონი, ტიმ კლოსე, ალექსანდერ ტეტეი

**სუონსი-ლივერპული**

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

ლივერპული: ***ტრავმ***-დივოკ ორიჯი, ჯორდან ჰენდერსონი, ემრე კანი, ჯორდან როსიტერი, დანი ინგსი, ჯოზეფ გომესი

**მანჩესტერი-ლესტერი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ბასტიან შვაინშტაიგერი, უილიამ კინი, ლუკ შოუ

ლესტერი: ***ტრავმ***-ლეონარდო ულოა; ***დისკვ***-ჯეიმი ვარდი

**საუთჰემპტონი-სიტი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

სიტი: ***ტრავმ***-იაია ტურე, დავიდ სილვა

**ჩელსი-ტოტენჰემი**

ჩელსი: ***ტრავმ***-გარი კეჰილი, ლიოკ რემი, ჯონ ტერი, კურტ ზუმა; ***დისკვ***-ტიბო კურტუა

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ერიკ დიერი, ნაბილ ბენტალები

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 35 | 22 | 10 | 3 | 63-33 | 76 |
| 2.ტოტენჰემი | 35 | 19 | 12 | 4 | 65-26 | 69 |
| 3.სიტი | 35 | 19 | 7 | 9 | 66-34 | 64 |
| 4.არსენალი | 35 | 18 | 10 | 7 | 58-34 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 34 | 17 | 8 | 9 | 42-30 | 59 |
| 6.ვესტ ჰემი | 34 | 14 | 14 | 6 | 57-43 | 56 |
| 7.ლივერპული | 34 | 15 | 10 | 9 | 58-45 | 55 |
| 8.საუთჰემპტონი | 35 | 15 | 9 | 11 | 49-37 | 54 |
| 9.ჩელსი | 34 | 12 | 11 | 11 | 53-46 | 47 |
| 10.სტოკი | 35 | 13 | 8 | 14 | 37-51 | 47 |
| 11.ევერტონი | 34 | 9 | 14 | 11 | 53-48 | 41 |
| 12.უოტფორდი | 34 | 11 | 8 | 15 | 33-40 | 41 |
| 13.ბორნმუთი | 35 | 11 | 8 | 16 | 42-61 | 41 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 10 | 11 | 14 | 32-43 | 41 |
| 15.სუონსი | 35 | 10 | 10 | 15 | 34-49 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 35 | 10 | 9 | 16 | 36-45 | 39 |
| 17.სანდერლენდი | 34 | 7 | 10 | 17 | 39-57 | 31 |
| 18.ნორვიჩი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-60 | 31 |
| 19.ნიუკასლი | 35 | 7 | 9 | 19 | 38-64 | 30 |
| 20.ასტონ ვილა | 35 | 3 | 7 | 25 | 25-69 | 16 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.04 სოსიედადი-რეალი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 30.04 ატლეტიკო-რაიო | 1.3 | 5.5 | 9.5 |
| 30.04 ბეტისი-ბარსელონა | 19.0 | 8.5 | 1.12 |
| 30.04 გრანადა-ლას პალმასი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 01.05 ბილბაო-სელტა | 1.85 | 3.5 | 3.8 |
| 01.05 ესპანიოლი-სევილია | 2.3 | 3.4 | 3.0 |
| 01.05 დეპორტივო-ხეტაფე | 2.0 | 3.4 | 3.4 |
| 01.05 ვალენსია-ვილიარეალი | 2.05 | 3.4 | 3.25 |
| 02.05 მალაგა-ლევანტე | 2.15 | 3.3 | 3.4 |

**სოსიედადი-რეალი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, იმანოლ აგირეჩე, სერხიო კანალესი; ***დისკვ***-კარლოს ველა

რეალი: ***ტრავმ***-კრიშტიანუ რონალდუ, ქარიმ ბენზემა

**ატლეტიკო-რაიო**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო გოდინი, ტიაგო

რაიო: ***ტრავმ***-ტონო, რაულ ბაენა, ზე კასტრო, პატრიკ ებერტი; ***დისკვ***-რობერტო ტაჩორასი

**ბეტისი-ბარსელონა**

ბეტისი: ***ტრავმ***-დიდიე დიუგარი, კრისტიანო პიცინი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი, ჯერემი მატიე, სანდრო რამირესი

**გრანადა-ლას პალმასი**

გრანადა: ***ტრავმ***-ისააკ სუკესი; ***დისკვ***-სილვიან ბაბინი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მაურისიო ლემოსი, ხავი კასტელანო; ***დისკვ***-დანიელ კასტელანო

**ბილბაო-სელტა**

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინ მერინო, აიმერიკ ლაპორტე

სელტა: ***ტრავმ***-კლაუდიო ბოვო, ნესტორ დიასი, ენდრიუ ფონტასი

**ესპანიოლი-სევილია**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-აბრაჰამ გონსალესი, ანაიც არბილია; ***დისკვ***-ხავი ლოპესი

სევილია: ***ტრავმ***-ხოსე ანტონიო რეიესი, მარკო ანდრეოლი

**დეპორტივო-ხეტაფე**

დეპორტივო: ***ტრავმ***-გერმან ლუქსი, ფაბრიციო

ხეტაფე: ***ტრავმ***-რობერტო ლაგო, ალვარო პერეირა

**ვალენსია-ვილიარეალი**

ვალენსია: ***ტრავმ***-ხოსე გაია, ზაკარია ბაკალი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ლეო ბაპტისტაო

**მალაგა-ლევანტე**

მალაგა: ***ტრავმ***-ხუან კარლოსი; ***დისკვ***-რეციო, ველინგტონი

ლევანტე: ***ტრავმ***-ტონო; ***დისკვ***-ჯეფერსონ ლერმა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 26 | 4 | 5 | 102-29 | 82 |
| 2.ატლეტიკო | 35 | 26 | 4 | 5 | 59-16 | 82 |
| 3.რეალი | 35 | 25 | 6 | 4 | 104-32 | 81 |
| 4.ვილიარეალი | 35 | 17 | 10 | 8 | 42-31 | 61 |
| 7.სელტა | 35 | 16 | 9 | 10 | 49-55 | 57 |
| 6.ბილბაო | 35 | 16 | 7 | 12 | 53-43 | 55 |
| 7.სევილია | 35 | 14 | 10 | 11 | 49-42 | 52 |
| 8.ვალენსია | 35 | 11 | 11 | 13 | 44-42 | 44 |
| 9.ლას პალმასი | 35 | 12 | 7 | 16 | 42-46 | 43 |
| 10.მალაგა | 35 | 10 | 12 | 13 | 31-32 | 42 |
| 11.ეიბარი | 35 | 11 | 9 | 15 | 46-54 | 42 |
| 12.სოსიედადი | 35 | 11 | 9 | 15 | 42-46 | 42 |
| 13.ბეტისი | 35 | 10 | 11 | 14 | 31-48 | 41 |
| 14.დეპორტივო | 35 | 7 | 18 | 10 | 43-57 | 39 |
| 15.ესპანიოლი | 35 | 10 | 7 | 18 | 35-67 | 37 |
| 16.რაიო | 35 | 8 | 11 | 16 | 48-69 | 35 |
| 17.გრანადა | 35 | 8 | 9 | 18 | 39-63 | 33 |
| 18.ხიხონი | 35 | 8 | 8 | 19 | 35-61 | 32 |
| 19.ხეტაფე | 35 | 8 | 8 | 19 | 33-64 | 32 |
| 20.ლევანტე | 35 | 7 | 8 | 20 | 33-63 | 29 |

**გერმანია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.04 ბაიერნი-გლადბახი | 1.35 | 4.8 | 7.0 |
| 30.04 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.4 | 4.8 | 7.5 |
| 30.04 დარმშტადი-აინტრახტი | 2.3 | 3.25 | 2.87 |
| 30.04 მაინცი-ჰამბურგი | 1.83 | 3.4 | 4.0 |
| 30.04 ჰანოვერი-შალკე | 3.6 | 3.75 | 1.83 |
| 30.04 ჰოფენჰაიმი-ინგოლშტადი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 30.04 ლევერკუზენი-ჰერტა | 1.65 | 3.6 | 4.8 |
| 02.05 ვერდერი-შტუტგარტი | 2.0 | 3.75 | 3.1 |

**ბაიერნი-გლადბახი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-სებასტიან როდე, არიენ რობენი, ჰოლგერ ბადშტურბერი

გლადბახი: ***ტრავმ***-ტონი იანჩკე, ლარს სტინდი, მარტინ შტრანცლი, ალვარო დომინგესი, ნიკო შულცი

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ილკაი გუნდოგანი, პიერ-ემერიკ ობამეიანგი, ნევენ სუბოტიჩი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ვიერინია, ჯულიან დრექსლერი, ნიკლას ბენდტნერი, სებასტიან იუნგი

**დარმშტადი-აინტრახტი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან როზენტალი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ტიმოტი ჩანდლერი, შტეფან რეინალტცი, ალექსანდერ მეიერი, სლობოდან მილოშევიჩი, იოანეს ფლუმი

**მაინცი-ჰამბურგი**

მაინცი: ***ტრავმ***-იოშინორი მუტო, დევანტე პარკერი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი, ივიცა ოლიჩი, იოსიპ დრმიჩი

**ჰანოვერი-შალკე**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-არტურ სობიეხი, უფე ბეჩი, ოლივერ სორგი, მარიუს ვოლფი, ჰოტარუ იამაგუჩი, ფელიპე, ლეონ ანდრეასენი, ჩარლისონ ბენშოპი

შალკე: ***ტრავმ***-სიდნეი სამი, ლეონ გორეცკა, ბენედიკტ ჰოივედესი

**ჰოფენჰაიმი-ინგოლშტადი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჯინ სუ კიმი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დარიო სოარესი

**ლევერკუზენი-ჰერტა**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სებასტიან ბენიში, კირიაკოს პაპადოპულოსი

ჰერტა: ***ტრავმ***-ჯონ ბრუკსი, რონი, გენკი ჰარაგუჩი, როი ბეერენსი

**ვერდერი-შტუტგარტი**

ვერდერი: ***ტრავმ***-მილოშ ველიკოვიჩი, ფილიპ ბარგფრიდი, ლუკა ზანდერი, აროან იოჰანსენი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ტიმო ბაუმგარტი, სერეი დიე, მარტი რისტი, კევინ გროსკროიცი, არიანიტ ფერატი, დანიელ გინსეკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 26 | 3 | 2 | 74-14 | 81 |
| 2.დორტმუნდი | 31 | 23 | 5 | 3 | 75-30 | 74 |
| 3.ლევერკუზენი | 31 | 16 | 6 | 9 | 50-35 | 54 |
| 4.ჰერტა | 31 | 14 | 7 | 10 | 40-38 | 49 |
| 5.გლადბახი | 31 | 15 | 3 | 13 | 62-48 | 48 |
| 6.მაინცი | 31 | 13 | 6 | 12 | 43-41 | 45 |
| 7.შალკე | 31 | 13 | 6 | 12 | 43-46 | 45 |
| 8.კიოლნი | 31 | 10 | 10 | 11 | 36-40 | 40 |
| 9.ინგოლშტადტი | 31 | 10 | 10 | 11 | 29-35 | 40 |
| 10.ვოლფსბურგი | 31 | 10 | 9 | 12 | 42-43 | 39 |
| 11.ჰამბურგი | 31 | 10 | 7 | 14 | 37-44 | 37 |
| 12.აუგსბურგი | 31 | 9 | 9 | 13 | 40-48 | 36 |
| 13.დარმშტადტი | 31 | 8 | 11 | 12 | 35-48 | 35 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 31 | 8 | 10 | 13 | 36-48 | 34 |
| 15.შტუტგარტი | 31 | 9 | 6 | 16 | 46-63 | 33 |
| 16.ვერდერი | 31 | 8 | 7 | 16 | 43-63 | 31 |
| 17.აინტრახტი | 31 | 7 | 9 | 15 | 31-50 | 30 |
| 18.ჰანოვერი | 31 | 6 | 4 | 21 | 28-56 | 22 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.04 უდინეზე-ტორინო | 2.0 | 3.3 | 3.5 |
| 30.04 კიევო-ფიორენტინა | 3.4 | 3.4 | 2.0 |
| 01.05 იუვენტუსი-კარპი | 1.2 | 6.0 | 13.0 |
| 01.05 პალერმო-სამპდორია | 1.85 | 3.5 | 3.8 |
| 01.05 ემპოლი-ბოლონია | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 01.05 სასუოლო-ვერონა | 1.55 | 4.33 | 5.5 |
| 01.05 მილანი-ფროზინონე | 1.25 | 5.0 | 11.0 |
| 01.05 ლაციო-ინტერი | 2.37 | 3.3 | 2.75 |
| 02.05 ჯენოა-რომა | 5.0 | 3.75 | 1.67 |
| 02.05 ნაპოლი-ატალანტა | 1.17 | 7.5 | 15.0 |

**უდინეზე-ტორინო**

უდინეზე: ***ტრავმ***-ანტონიო დი ნატელი; ***დისკვ***-დუვან ზაპატა

ტორინო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, ჩირო იმობილე, დანილო აველარი

**კიევო-ფიორენტინა**

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლას ფრეი, დარიო დაინელი, ფედერიკო მატიელო; ***დისკვ***-ნიკოლას სპოლი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ხოუმა ბაბაქარი

**იუვენტუსი-კარპი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, ნეტო, მარტინ კასერესი

კარპი: ***ტრავმ***-ზელკო ბრკიჩი, იგორ ბუბნიჩი; ***დისკვ***-ლორენცო ლოლო, რაფაელე ბიანკო

**პალერმო-სამპდორია**

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ჯანკარლო გონსალესი

სამპდორია: ***ტრავმ***-კარლოს კარბონერო

**ემპოლი-ბოლონია**

ემპოლი: ***ტრავმ***-ვინსენტ ლორინი, ლუკას სკორუპსკი, მარკო ლივაია; ***დისკვ***-ლევან მჭედლიძე, ლეანდრო პარედესი

ბოლონია: ***ტრავმ***-არხიმედ მორლეო, მატია დესტრო; ***დისკვ***-ლუკა როსეტინი

**სასუოლო-ვერონა**

სასუოლო: ***ტრავმ***-გრეგუარ დეფრე, დავიდე ბიონდინი, ლუკა ანტეი, სიმონე მისიროლი; ***დისკვ***-ფედერიკო პელუსო

ვერონა: ***ტრავმ***-ლუკა ტონი, ფილიპ ჰელანდერი, მოჰამედ ფარესი

**მილანი-ფროზინონე**

მილანი: ***ტრავმ***-ჯაკომო ბონავენტურა, მბიაე ნიანგი

ფროზინონე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-რამან ჩიბსა

**ლაციო-ინტერი**

ლაციო: ***ტრავმ***-ალესანდრო მატრი, რიკარდო კიშნა, შტეფან რადუ, სტეფან დე ვრეი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**ჯენოა-რომა**

ჯენოა: ***ტრავმ***-მატია პერინი, გორან პანდევი

რომა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მირალემ პიანიჩი

**ნაპოლი-ატალანტა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-მაურისიო პინილია, დავიდე ბასი, კარლოს კარმონა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 27 | 4 | 4 | 67-18 | 85 |
| 2.ნაპოლი | 35 | 22 | 7 | 6 | 72-30 | 73 |
| 3.რომა | 35 | 20 | 11 | 4 | 74-38 | 71 |
| 4.ინტერი | 35 | 19 | 7 | 9 | 47-32 | 64 |
| 5.ფიორენტინა | 35 | 17 | 8 | 10 | 56-40 | 59 |
| 6.მილანი | 35 | 14 | 11 | 10 | 44-37 | 53 |
| 7.სასუოლო | 35 | 13 | 13 | 9 | 44-39 | 52 |
| 8.კიევო | 35 | 13 | 9 | 13 | 43-42 | 48 |
| 9.ლაციო | 35 | 13 | 9 | 13 | 45-47 | 48 |
| 10.ჯენოა | 35 | 12 | 7 | 16 | 39-43 | 43 |
| 11.ტორინო | 35 | 11 | 9 | 15 | 45-50 | 42 |
| 12.ემპოლი | 35 | 11 | 9 | 15 | 37-46 | 42 |
| 13.ატალანტა | 35 | 10 | 11 | 14 | 37-43 | 41 |
| 14.სამპდორია | 35 | 10 | 10 | 15 | 48-51 | 40 |
| 15.ბოლონია | 35 | 11 | 7 | 17 | 33-44 | 40 |
| 16.უდინეზე | 35 | 10 | 8 | 17 | 32-52 | 38 |
| 17.კარპი | 35 | 8 | 11 | 16 | 34-51 | 35 |
| 18.პალერმო | 35 | 8 | 8 | 19 | 33-63 | 32 |
| 19.ფროზინონე | 35 | 8 | 6 | 21 | 32-68 | 30 |
| 20.ვერონა | 35 | 4 | 13 | 18 | 30-58 | 25 |

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.04 ნანტი-ნიცა | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 30.04 სტ.ეტიენი-ტულუზა | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 30.04 მონაკო-გენგამი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 30.04 რეიმსი-მონპელიე | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 30.04 ლორიანი-ლილი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 30.04 ტრუა-ბორდო | 4.5 | 3.75 | 1.7 |
| 30.04 კაენი-ბასტია | 1.91 | 3.3 | 3.8 |
| 30.04 ლიონი-გაზელეკი | 1.33 | 4.8 | 10.0 |
| 01.05 ანჟე-მარსელი | 3.2 | 3.0 | 2.25 |

**ნანტი-ნიცა**

ნანტი: ***ტრავმ***-კოლბეინ სიტრონსონი, იოან აუდელი, ვილფრედ მოიმბე, რემიო რიო, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მეტიუ ბოდმერი, მიშელ ლე ბიანი, სიმონ პუპლინი

**სტ.ეტიენი-ტულუზა**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალექსანდერ სოდერლუნდი, ჯონათან ბრისონი, რობერტ ბერიჩი

ტულუზა: ***ტრავმ***-ხინედინ მაჩაჩი, ჟან-არმელ კანა-ბიიკი, ალექსანდერ პესიჩი

**მონაკო-გენგამი**

მონაკო: ***ტრავმ***-ალმამი ტრაორე, ადამა ტრაორე, ფაბიო კოენტრაუ, მარიო პასალიჩი

გენგამი: ***ტრავმ***-ლიონელ მატისი, ფრანკ ჰერი, ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო

**რეიმსი-მონპელიე**

რეიმსი: ***ტრავმ***-ოდაირ ფორტესი, აბდელ ელ კუტარი, ჰასანე კამარა, დიეგო, მოჰამედ ფოფფანა, ალექს პეჟო

მონპელიე: ***ტრავმ***-მუსტაფა იატაბარე, ჯამელ საიჰი, პოლ-ბასტიენ ლასნე

**ლორიანი-ლილი**

ლორიანი: ***ტრავმ***-ლინდსეი როუზი, მაჯედ ვორისი, ლამინე გასამა, ჯიმი კაბო, ვინსენ ფე გოფი, ჰამადოი კარამოკო

ლილი: ***ტრავმ***-მარკო ბასა, მარვინ მარტინი, მაიკ მაინანი

**ტრუა-ბორდო**

ტრუა: ***ტრავმ***-მოჰამადუ დაბო, ბენჯამინ ნივე, ბრაიან პერეა, იოან მარსიალი, ანელე ნგკონგკა, მორი კონე

ბორდო: ***ტრავმ***-ადამ ონასი, კლემენტ ჩანტომე, სედრიკ კარასო, ნიკოლას პალოისი, გრეგუარ სეტიჩი

**კაენი-ბასტია**

კაენი: ***ტრავმ***-ჟან-ვიქტორ მაკენგო, დამიენ და სილვა, ემანუელ იმოროუ

ბასტია: ***ტრავმ***-ფლორიან რასპენტინო, ჯულიან რომანი

**ლიონი-გაზელეკი**

ლიონი: ***ტრავმ***-ალდო კალულუ, სტიდ მალბრანქი

გაზელეკი: ***ტრავმ***-ჯერემი ბრეჩე, ამოს იოუნგა

**ანჟე-მარსელი**

ანჟე: ***ტრავმ***-ოლივიე ორიაკი, გუი ნგოსო, ფერებორი დორე

მარსელი: ***ტრავმ***-როლანდო, კევინ ნკოდუ, მაურისიო ისლა, სტეფან სპარანგა, ლასანა დიარა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 27 | 5 | 2 | 89-18 | 86 |
| 2.ლიონი | 35 | 17 | 8 | 10 | 58-37 | 59 |
| 3.მონაკო | 35 | 15 | 14 | 6 | 51-42 | 59 |
| 4.ნიცა | 35 | 16 | 9 | 10 | 53-38 | 57 |
| 5.სტ.ეტიენი | 35 | 17 | 6 | 12 | 42-34 | 57 |
| 6.ლილი | 35 | 13 | 14 | 8 | 37-27 | 53 |
| 7.რენი | 35 | 13 | 13 | 9 | 51-46 | 52 |
| 8.ანჟე | 35 | 13 | 11 | 11 | 38-33 | 50 |
| 9.კაენი | 35 | 14 | 5 | 16 | 36-51 | 47 |
| 10.ნანტი | 35 | 11 | 12 | 12 | 31-38 | 45 |
| 11.მონპელიე | 35 | 12 | 7 | 16 | 44-43 | 43 |
| 12.გენგამი | 35 | 11 | 10 | 14 | 43-50 | 43 |
| 13.ლორიანი | 35 | 10 | 13 | 12 | 46-54 | 43 |
| 14.ბასტია | 35 | 12 | 7 | 16 | 33-41 | 43 |
| 15.ბორდო | 34 | 10 | 13 | 11 | 42-53 | 43 |
| 16.მარსელი | 35 | 8 | 17 | 10 | 45-41 | 41 |
| 17.გაზელეკი | 35 | 8 | 13 | 14 | 36-51 | 37 |
| 18.რეიმსი | 35 | 9 | 9 | 17 | 38-52 | 36 |
| 19.ტულუზა | 35 | 7 | 12 | 16 | 41-53 | 33 |
| 20.ტრუა | 35 | 3 | 8 | 24 | 25-77 | 17 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 2 მაისი

07.30 ქართ/ფ "ხევსურები" 08.30 ქართ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 09.30 ქართ მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 12.15 ქართ მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 13.30 "ფერმა" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.30 ქართ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 17.00 ტ/სერ. "**ქასლი**" 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ქართ მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" 22.20 გ. ყანჩელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი: "ჩვენი ყანჩელი" 00.30 მხ/ფ "**ნილაბი**" 02.30 მხ/ფ "**მოტყუებული**" (კ.ისტვუდი)

08.00 ქართ. დ/ფ "სინას მთა" 09.00 მხ/ფ "**ამალია ერჰარტი**" 11.20 ქართ. მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" (რ.ჩხეიძე) 12.30 ქართ. მხ/ფ "**აღდგომა**" 13.00 მხ/ფ "**ბიჭები**" 14.30 ქართ. დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" 15.00, 17.40, 20.00 "ბრიფინგის დრო" 15.30 ქართ. დ/ფ "შინდი თეთრი" 16.00 ქართ. მხ/ფ "**შეხვედრა წარსულთან**" 18.00 მხ/ფ "**აეროპორტი 77**" (ჯ.ლემონი) 20.30 მხ/ფ "**ლორენცოს ზეთი**" (ნ.ნოლტი) 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "**გულები**"

